ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.2

## ჯო ბაიდენმა ფიცი დადო და პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა

**21 იანვრიდან**

მაია ბურჭულაძე

**უფროსი ძმა სხვის ტყავში**

„დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი



ხუთშაბათი, 21 იანვარი, 2021 №9 (8538) ფასი: 60 თეთრი

# „მიშა კოალიციას გვთავაზობდა: ბრეჩიხა პრემიერი, უსუფაშვილი იუსტიცია, ხიდაშელი უშიშროება, მე კულტურა“



გვ.2

რას იხსენებს კონსტანტინე გამსახურდია

## „ელისაშვილი, ხუხაშვილი, ლაგაზიძე და სხვები ივანიშვილის პროპაგანდას ეწეოდნენ“



გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ივანიშვილის პოლიტიკიდან ჩახსნა ოპოზიციისთვის ხელსაყრელია“

## „საპროტესტო გამოსვლების გარეშე წარმატება ვერ იქნება“



ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს უნდა, რომ ბოსელი პარლამენტად გაასაღოს“

გვ.3



## „ივანიშვილს იმიტომ არ გაუყალბებია არჩევნები, რომ მერე სულ წასულიყო“

გვ.4

გოგი წულაია: „იმ გამოსვლების შედეგად, რომლებიც გაზაფხულზე დაიწყება, ხელისუფლება ფარ-ხმალს დაყრის“



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ადვოკატების მიმართ ცილისწამებები გრძელდება“

გვ.3



გვ.4

## მამუკა ტუსკაძე: „ივანიშვილი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას თვითონ შეეცდება“

## შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1103 ფაქტი გამოავლინა



გვ.5

ISSN 1987-9385

**5** „მელაშვილი და ილიჩოვა ზემდგომი თანამდებობის პირების დავალებას ასრულებდნენ“

**6** მადრიდის ცენტრში აფეთქება მოხდა
2 ადამიანი დაიღუპა, 10 დაშავდა

**5** მარი შარაშიძე: „თამარ ბაჩალიაშვილი სიკვდილამდე 1 თვით ადრე საფრთხის შესახებ მაფრთხილებდა“

**6** ტრამპმა ყოფილი მრჩეველი ბენონი და რამდენიმე ადამიანი შეიწყალა

# „ელისაშვილი, ხუხაშვილი, ლაგაზიძე და სხვები ივანიშვილის პროპაგანდას ეწეოდნენ“

## ნიკა ჩიტაძე: „ივანიშვილის პოლიტიკიდან ჩახსნა ოპოზიციისთვის ხელსაყრელია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა ხდება ოპოზიციაში და რა სურათი გამოაჩინა ოპოზიციის შიგნით მიმდინარე მოვლენებმა? რატომ ემიჯნება ზოგიერთ ექსპერტს, მათ შორის გია ხუხაშვილსა და ხათუნა ლაგაზიძეს და რატომ თვლის, რომ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა და ექსპერტმა ბიძინა ივანიშვილთან გვერდზე დგომის გამო შეცდომა უნდა აღიაროს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**



***— რა ხდება ოპოზიციაში და რა სურათი დაგანახათ გასულმა დღეებმა? მძიმე საყურებელი იყო ალეკო ელისაშვილისა და მამუკა ხაზარაძის დაპირისპირება „ღამის კურიერში“. ამ ყველაფრის ფონზე ერთიანობის მიღწევის რესურსი რჩება?***

— ერთიანობა ისედაც დარღვეული იყო და სწორედ იმის გამო, რა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაც არსებობს ოპოზიციაში პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით და ამან გამოიწვია მწვავე დებატები. ელისაშვილი აცხადებს, რომ უნდა შევიდნენ პარლამენტში, ხაზარაძე კი ამის წინააღმდეგია, ისევე, როგორც ოპოზიციის დიდი ნაწილი.

საერთოდ, ელისაშვილი კონფლიქტური ადამიანია. ორჯერ მოყვა ჩხუბში ტელეეთერის დროს. ეს პირველად ჯერ კიდევ ნაციონალების დროს მოხდა მას და გიგა ნასარიძეს შორის. თუ გახსოვთ, მან ნასარიძეს წყალი შეასხა. მეორედ „ოცნების“ მმართველობის დროს მოხდა. დღევანდელ დღეს კი ის ცდილობს, რომ ოპოზიციაზე შეტევა აქეთ მიიტანოს, მათ შორის, ხაზარაძეზე. მას ეძახა მევახშე და რომ ხალხს ყვლეფს და ა.შ. ბანკირია ეს ადამიანი, რაც, მათ შორის, სესხების გაცემასა და, შესაბამისად, პროცენტების მიღებას გულისხმობს.

***— ანუ პოპულისტურ ელემენტებს იყენებს?***

— კი, ჩემი აზრით, პოპულისტურ რაღაცებს იყენებს, რათა თავისი პარლამენტში შესვლა გაამართლოს, თითქოს ხალხზე ზრუნავს და ა.შ. მაგრამ ელისაშვილი უმცირესობაშია, ვინაიდან ოპოზიციის უმრავლესობას არ სურს პარლამენტში შესვლა. აქედან გამომდინარე, აქეთ ცდილობს, რომ ოპოზიციას შეუტიოს და თავი წარმოაჩინოს, როგორც მებრძოლმა და ხალხის ინტერესების დამცველმა.

***— მეორე მხრივ, ვნახეთ „გირჩის“ პოზიციაც და ფაქტია, რომ ოპოზიციაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც გვეგონა და ამას წარმოაჩენენ. ფაქტია, რომ იქ ყოფილა რაღაც დაპირისპირებები თუ რაღაც ამგვარი, მაგრამ, რიგზე რომ არ არის ყველაფერი, გამოჩნდა.***

— კი, მანამდეც არსებობდა ეს პრობლემა. პირველ რიგში, აზრთა სხვადასხვაობაა პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით. სხვა პრობლემებიც არსებობს, მაგრამ მთავარი საკითხი პარლამენტში შესვლაა.

ელისაშვილის საკითხი ოპოზიციისა და მასმედიის საშუალებებისთვის მაგალითი უნდა იყოს. თუ დღეს საუბრობენ იმაზე, რომ ელისაშვილი მოღალატეა და მან ოპოზიციას უღალატა, აღნიშნულის შედეგი გახლავთ ის, რომ მათ საქმე დაიჭირეს იმავე ელისაშვილთან, რომელიც „ოცნებასა“ და ივანიშვილს პროპაგანდას უწევდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის ტელევიზიაში მუშაობდა.

***— ეს გამოდგება საზომად?***

— ამ შემთხვევაში არ ვამბობ ამას. მე ვამბობ საერთოდ. ჩვენთან არავინ აგებს პასუხს.

***— მაგას რომ გავყვეთ, მაშინ, მაგალითად, დავით ბერძენიშვილი პირდაპირ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი იყო, ან თუნდაც შალვა შავგულიძე. დღეს კი ერთი გაერთიანებულ ოპოზიციაშია, მეორე — „ევროპულ საქართველოში“. ასეთი ბევრია.***

— კი ბატონო, მაგრამ უნდა აღიარონ, რომ ცდებოდნენ, როდესაც „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ. ეს ადამიანები დღეს წარმოჩენილი არიან, როგორც რომის პაპზე უკეთესი კათოლიკეები. ბევრია ეგეთი, მათ შორის, ჩემი კოლეგებიც, ე.წ. პოლიტოლოგები. დღეს გამოდიან და ევროატლანტიკურ ღირებულებებზე საუბრობენ, როდესაც მხარს უჭერდნენ ბიძინა ივანიშვილს.

***— გია ხუხაშვილზე მიანიშნებთ?***

— ხუხაშვილსაც ვგულისხმობ, ხათუნა ლაგაზიძესაც, რომელიც ახლა ამბობს, ვერ ვაცნობიერებდი, „ოცნება“ რას მოახდენდაო. მაშინ რანაირი პოლიტოლოგი ხარ? იგივე თეონა აქუბარდია და სხვები. თავის დროზე მაგათ აფინანსებდა ივანიშვილი. რატომ უპირისპირდებიან ეს ადამიანები დღეს ივანიშვილს? იგივე, როდესაც ელისაშვილი ოპოზიციონერი გახდა? იმიტომ, რომ ალბათ ვერ მიიღეს ივანიშვილისგან ის ფული, რომელსაც ელოდებოდნენ. დემოკრატიის ბედი როდის აწუხებდათ? ბოდიში მომითხოვია, მაგრამ კარგით, რა. მე პირადად მგონია, რომ დემოკრატია კი არ აწუხებდათ, უბრალოდ, შესაბამისი თანხები ვერ მიიღეს. დღეს ვითომ აღშფოთებას გამოხატავენ. ეს პოლიტიკოსებსაც ეხებათ და პოლიტოლოგებსაც.

***— თქვით, რომ მათ ივანიშვილი აფინანსებდა და ახლაც ფულის მიღება უნდათ?***

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილო არიან და ჰგონიათ, რომ ივანიშვილმა გადააგდო. ხომ გახსოვთ, ივანიშვილი ჟურნალისტებს როცა შეხვდა, მაშინ იქ ელისაშვილიც იყო და გააკრიტიკა. მაშინ ელისაშვილმა რბილად თქვა, მიგვჯირყნაო, რაღაც ხუმრობით, ანუ ჯერ კიდევ დაახლოებული იყო. გახსოვთ, მერე შეწყალების კომისიის თავმჯდომარე გახდა და, იქიდან რომ წამოვიდა, მერე აღშფოთდა. ბერძენიშვილები რომ ახსენეთ, მათ მაინც სხვა წარსული აქვთ. ორივე ძმა საბჭოთა პერიოდში დისიდენტი იყო, ასლან აბაშიძეს ებრძოდნენ და ა.შ. ახლა უცბად გიორგი თარგამაძეც გამახსენდა, რომელიც აბაშიძესთან თანამშრომლობდა, მერე ბადრი პატარკაციშვილისგან იღებდა ფულს და დღეს „ფორმულაზე“ დემოკრატიის მთავარი დამცველია.

***— მაგას რომ გავყვეთ, მიხეილ სააკაშვილამდეც მივალთ, რომელიც შევარდნაძის მთავრობაში იყო და მერე დაუპირისპირდა.***

— კი ბატონო, იყო, მაგრამ ჯერ კიდევ იმ მთავრობაში ძველ რეტროგრადულ ძალებს უპირისპირდებოდა, სასამართლო სისტემის რეფორმაზე საუბრობდა, გამოცდებზე და ა.შ. კი ბატონო, იყო შევარდნაძესთან, ერთი პერიოდი ივანიშვილთანაც თანამშრომლობდა და მოკავშირეები იყვნენ. კონფუცის აქვს კარგად ნათქვამი, რომ თითოეული ადამიანისთვის დამახასიათებელია შეცდომა. მითხარით, რა არის მისი შეცდომა და გეტყვით, როგორი ადამიანია ის. შეცდომა ყველას მოსვლია, ჩემი ჩათვლით, მაგრამ გააჩნია, რა. ელისაშვილი რომ ავიღოთ, საქმე საქმეზე როცა მიდგა, ოპოზიციას ისევ უღალატა.

ყველამ აღიაროს შეცდომა და კი ბატონო. სხვათა შორის, ლაგაზიძემ აღიარა და თქვა, ვერ ვაცნობიერებდიო. თუმცა კითხვა ისმის, მაშინ რანაირი ექსპერტი ხარ?! ადამიანი, რომელიც საქართველოს სდებს ბრალად ომის დაწყებას და, თუ ამას ვერ აცნობიერებდი, მაშინ სხვა მიზანი გქონდა და ელოდებოდი სარგებელს.

იგივე ეხება ზოგიერთ მედიასაშუალებას. იგივე „მთავარმა არხმა“ აქო და ადიდა ელისაშვილი და „ვანოს შოუში“ 3-4-ჯერ მიიწვიეს. იგივე ეკა ბესელია და ა.შ. არ მწამს ამ ადამიანების. დღეს ნინო ბურჯანაძე თუა ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციონერი და თუ ავიწყდებათ, რომ პუტინს ხვდებოდა, ძალიან სამწუხაროა.

***— ახსენეთ ექსპერტები და გიორგი ვაშაძე აანონსებს მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნას, სადაც პოლიტიკოსებთან ერთად იქნებიან საზოგადოების აქტიური სახეები და ექსპერტებიც. მოახერხებს თვითმმართველობის არჩევნებისთვის მის შექმნას?***

— მე ვიყავი რამდენიმეჯერ ვაშაძის ღონისძიებებზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „სტრატეგია აღმაშენებელი“ შეხვედრებს გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატში გეგმავდა. სიტყვითაც გამოვსულვარ. სხვადასხვა თემაზე — ეკონომიკაზე, სასამართლოზე, საგარეო პოლიტიკაზე და ა.შ. თუ კიდევ შემომთავაზეს, მივალ და გავუზიარებ ჩემს მოსაზრებას, მაგრამ, როგორც პოლიტოლოგი და არა როგორც პარტიის წევრი.

***— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ პოლიტიკაში ჩართვას არ აპირებთ?***

— დიახ. მე უფრო მეხერხება სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. რეალურად მე ვარ განათლებაში ჩართული. ვარ პროფესორი, მაგრამ, რაღაც პატარა წვლილის შეტანა თუ შემიძლია ამ სტატუსიდან, მზად ვარ, ჩავერთო. მისასალმებელია, თუ მიწვეული იქნებიან პოლიტოლოგები.

***— აქ მხოლოდ მიწვევაზე არ არის საუბარი, პოლიტიკაში ჩართვაზეც არის და ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე გია ხუხაშვილი ან ხათუნა ლაგაზიძე, რომლებიც დაასახელეთ, იქნებიან იმ ცენტრში?***

— შესაძლოა, იყვნენ. არ მინდა, ჩემზე ვილაპარაკო, მაგრამ, მე რომ მომისმინონ და ჩემი აზრი გაიგონ, უკეთესი იქნება. ვიცი, რას წარმოადგენს ივანიშვილი. ამავე დროს, არ მინდა, ერთ ქვაბში მოვიხარშო ზოგიერთ იმ ე.წ. ექსპერტთან, რომელიც „ოცნებას“ აქებდა და ადიდებდა.

***— ლაგაზიძესა და ხუხაშვილს ე.წ. ექსპერტებად მოიხსენიებთ?***

— ბევრი რამე შემიძლია ვთქვა. ხუხაშვილს ჯერ ზრდილობაში შეეშალა. თვითონ ფულს იღებდა ივანიშვილისგან, მას ივანიშვილიც აფინანსებდა და პატარკაციშვილიც და ამ დროს სხვაზე ამბობდა, კვალიფიკაცია არ გააჩნიათ და რასაც ჩასძახებენ, იმას ამოიძახებსო. მათ შორის მეც მგულისხმობდა, მაშინ როდესაც არაერთი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ვარ, რომლებიც 30 ქვეყანაშია გამოცემული. რაც მე მაქვს დაწერილი, იმის 5% მაინც დაწეროს და მერე

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „მიშა კოალიციას გვთავაზობდა: გრეჩიხა პრემიერი, უსუფაშვილი იუსტიცია, ხიდაშელი უშიშროება, მე კულტურა“

## რას იხსენებს კონსტანტინე გამსახურდია



კონსტანტინე გამსახურდიამ გაიხსენა 2008 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის წინ მომხდარი მოვლენები, რის შესახებაც ფეისბუქში დაწერა:

„გია გაჩეჩილაძის, იგივე „უცნობის“ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მეორედ არჩეული მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაციის წინ (2008 წლის 20 იანვარი) იგი მიშას, ასევე მის იმდროინდელ გუნდს შეხვდა შავნაბადაზე და „სატელევიზიო სიხშირეზე“ ელაპარაკა — და ასევე იპოდრომის საპროტესტო აქციის დაშლაზე, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა ინაუგურაციის ჩაშლა, მახსენდება:

რესპუბლიკელთა ოფისში მაშინ ითქვა, რომ ლევანი თვითონ იყო ამ შეხვედრაზე მიშასთან — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მახსოვს. აღნიშნულ სხდომას, რომელიც დაახლოებით ღამის 10 საათზე შედგა, ასევე მახსოვს, ჩემს გარდა ძიძიგური, დავით ბერძენიშვილი, ზურაბიშვილი, თორთლაძე და გუნცაძე ესწრებოდნენ.

„უცნობზე“ საუბარი არ მახსოვს, თუმცა შეიძლება ძმები ერთად იყვნენ. სხვათა შორის, იმავე ღამით ირაკლი ბათიაშვილი სახლში დაბრუნდა ციხიდან — მისი გაშვება ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო.

ჭორის დონეზე ასევე ითქვა, ოღონდ არა ხმამაღლა, რომ მიშას კოალიციის მსგავსი შემოთავაზებაც ჰქონდა — აღნიშნულ ოპოზიციურ ფორმატს რამდენიმე პორტფელი. აქედან, ლევან გაჩეჩილაძე ან პრემიერი ან ვიცეპრემიერი, დათო უსუფაშვილი — იუსტიცია, თინა ხიდაშელი უშიშროების საბჭო, მე კულტურა, რატი ამაღლობელი (რომელიც მხოლოდ „მეგობრობდა“ ოპოზიციასთან, ოღონდ ფორმატში არ იყო) განათლება. ასევე რამდენიმე მინისტრის მოადგილის პოზიციაც. ეს, როგორც მოლაპარაკების საგანი, თუმცა არც განხილულა ჩვენი მხრიდან.

რაც შეეხება იპოდრომის აქციას, იგი დაიგეგმა ოპოზიციის შტაბბინაში თოფურიძის ქუჩაზე. რამდენიმე დღით ადრე გამართულ სხდომაზე მე ჩემი პოზიცია ვთქვი: ან შევიკრიბოთ გმირთა მოედანზე და ვიმოქმედოთ სიტუაციის მიხედვით, ან იპოდრომიდან დავიძრათ ისევ გმირთა მოედნისკენ და მერე ვნახოთ. ეს იდეა მხოლოდ კახა შარტავას მოეწონა. სხვებმა მხარი არ დაუჭირეს.

ცხონებულ კობას ცოტა უცნაური შემოთავაზება ჰქონდა: მოდით, იპოდრომიდან დავიძრათ სააკაძის ძეგლამდე, შემოვუაროთ და ისევ იპოდრომზე მოვიდეთო. ვუთხარი, რაღაც ტროლეიბუსის მარშრუტს ჰგავს-მეთქი.

საქმე კი თავიდან ოთხ კაცზე აღიძრა: ჩემზე, ჩემს ძმაზე, ცოტნეზე (რომელიც იმყოფებოდა მოსკოვში და საერთოდ არ იყო ოპოზიციურ ფორმატში) ლევან ბერძენიშვილზე, გოგა ხაინდრავაზე“.

# ჯო ბაიდენმა ფიცი დადო და პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა



20 იანვარს ვაშინგტონში, ინაუგურაციის ცერემონიაზე, ჯო ბაიდენმა ფიცი დადო.

ბაიდენმა ფიცი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჯონ რობერტსის თანდასწრებით დადო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯო ბაიდენი ოფიციალურად გახდა აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი.

მანამდე ფიცი დადო ვიცეპრეზიდენტმა კამალა ჰარისმა.

— ვიცი, რომ ერთიანების შესახებ საუბარი დღესდღეობით ფანტაზიას ჰგავს. ვიცი, რომ საზოგადოება ახლა დაყოფილია. თუმცა ერთიანობა ქვეყნის წარმატების ერთადერთი საწინდარია, — განაცხადა ჯო ბაიდენმა სიტყვით გამოსვლის დროს.

ბაიდენი კაპიტოლიუმში მომხდარ მოვლენებსაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მსგავსი რამ ქვეყანაში აღარასოდეს მოხდება.

— ასეთი რამ აღარასოდეს მოხდება, არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს. მე ვიქნები თითოეული ამერიკელის პრეზიდენტი, მათიც, ვინც მე მხარი არ დამიჭირა, — განაცხადა ბაიდენმა.

# სწრაფი გადახდის აპარატიდან გადარიცხვისას ახალი წესები სავალდებულო გახდა

საქართველოს ეროვნული ბანკის რეკომენდაციით, მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცვის მიზნით თვითმომსახურების ტერმინალებით სხვადასხვა გადარიცხვის ოპერაციის შესრულებისას მომხმარებლის პირადი ნომრისა და მობილურ ტელეფონზე გამოგზავნილი სმს კოდის შეყვანა სავალდებულო გახდა. როგორც საქართველოს საბანკო ასოციაციის განცხადებაშია აღნიშნული, გადაწყვეტილება ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სტრატეგიის ნაწილია.

შედეგად, მომხმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესის გავლა შემდეგ სერვისებზე თანხის გადარიცხვისას სავალდებულოა:

აზარტული თამაშები და ლატარია;
ონლაინთამაშები;
დაზღვევა და კერძო საპენსიო ფონდები;
ფინანსური სერვისები, მათ შორის: ფიზიკური და იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტების სერვისები, ლიზინგი, ელექტრონული საფულის შევსება, ფინანსური ბაზრები და ფულადი გზავნილები;
ინტერნეტმარკეტინგი;
ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;
ტურისტული მომსახურება;
ქსელური მარკეტინგი;
ქველმოქმედება;
საკონსულტაციო მომსახურება;
პოლიტიკური პარტიები;
უძრავი ქონების ყიდვასთან დაკავშირებული სერვისები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საპროტესტო გამოსვლების გარეშე წარმატება ვერ იქნება“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს უნდა, რომ ბოსელი პარლამენტად გაასაღოს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს ოპოზიციაში? ელისაშვილი აცხადებს, რომ პარლამენტში შესვლის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში გვამცნობს. როგორ ფიქრობთ, შევა?***

– რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, ელისაშვილი შევა თუ არ შევა პარლამენტში. ეს ვერ დაეხმარება ივანიშვილს, რომ ბოსელი პარლამენტად გაასაღოს. შევარდნაძის დროის კორუფციონერი მინისტრებისთვის ერთი-ორი ადამიანის დამატება ვერაფერს შეცვლის. ეს პარლამენტი ისევ პირად ჰარამხანად დარჩება. რეალურად ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში შესვლას არ აპირებს ხელახალი არჩევნების თარიღის გამოცხადების გარეშე.

ელისაშვილს თუ მართლაც მიაჩნია, რომ მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება საკმარისია და ამაზე წამოვა „ოცნება“, ეს, საბოლოო ჯამში, მაინც არაფერს ცვლის არჩევნების გაყალბების კუთხით.

***– რატომ?***

– მოქმედი კანონმდებლობა მართლაც შესაცვლელია და ამაზე არ არის საუბარი, მაგრამ, თუ არსებული კანონმდებლობა ღია ეთერში უტიფრად დაარღვიეს, რა, ახალს ვერ დაარღვევენ?! კანონმდებლობით ბიულეტენების ჩაყრა ხომ არის აკრძალული?! რატომ ჩაყარეს?! ეს ხომ მთელმა ქვეყანამ ნახა პირდაპირ ეთერში. ამომრჩევლების მოსყიდვა ხომ არის აკრძალული?! რატომ მოისყიდეს?! ამ ყველაფერზე პასუხი არავის უგია. აქედან გამომდინარე, ქაღალდის დონეზე რაიმეს გაკეთილშობილება, თუნდაც საარჩევნო სისტემის, არაფერს ცვლის. ეს, წესით, ელისაშვილს კარგად უნდა ესმოდეს. ასე რეალობა არ იცვლება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ტოტალურად გაყალბებული არჩევნებისთვის პოლიტიკურად მაინც პასუხი აგოს ხელისუფლებამ, კობახიძის ხელმძღვანელობით. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ხელახალი არჩევნების დანიშვნა.

***– იცოდით, რომ ბადრი ჯაფარიძე იყო „ოცნებასთან“ მომლაპარაკებელი?***

– მე რამდენადაც ვიცი, არც ბადრი ჯაფარიძესა და არც ოპოზიციის სხვა ლიდერებს ინდივიდუალური მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან არ ჰქონიათ. ხაზგასმით შემიძლია გითხრათ, რომ სხვებისგან მალულად არავითარი მოლაპარაკებები ბადრი ჯაფარიძეს „ოცნებასთან“ არ ჰქონია. ამიტომ ამის ირგვლივ მანიპულაციები და სპეკულაციები, რბილად რომ ვთქვა, უხერხული და არასწორია.

ბოლო პერიოდში არასრულფასოვანი, არასწორი ინფორმაციის გავრცელება ხდება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც პარლამენტში აპირებენ შესვლას ან არ აპირებენ, ვნახოთ. ამ შეხვედრებზე არავინ არანაირ საომარ მოქმედებებსა და გეგმებს არ სახავდა. საუბარია მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლაზე.

მე მომწონს თუ არ მომწონს სხვა ოპოზიციური პარტია, ჩვენ ახლა ვართ ანტისახელისუფლებო, ანტიბიძინა კოალიციაში და არ ბლოკში. ამ კოალიციის მიზანი ხომ სრულიად გასაგებია! ახალი არჩევნების მიღწევაა! ამიტომ გარკვეული მორატორიუმი უნდა არსებობდეს ამ კოალიციაში შემავალი პარტიების მხრიდან ერთმანეთზე, სანამ მიზანი არ იქნება მიღწეული. ეს ადამიანები დაკავებული არიან ოპოზიციის კრიტიკითა და თავდასხმებით, რაც მიუღებელია. ეს ჩვენს მიზანს ზიანს აყენებს. მათი კრიტიკა და თავდასხმები ოპოზიციაზე კი არა, ხელისუფლებაზე უნდა იყოს. მათი ეს პოზიციაა ყველაზე მიუღებელი. ეს პირდაპირ ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს, თუმცა არც ეს უშველის ხელისუფლებას.

***– ოპოზიციური ერთობა შენარჩუნდება თუ დაიშლება?***



– ერთობა საერთო საკითხის ირგვლივ, რომ ივანიშვილი უნდა წავიდეს, რომ ახალი არჩევნები დაინიშნოს, რომ მრავალპარტიული პარლამენტი შედგეს, სახეზეა და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

***– თუმცა ოპოზიცია რომ ძალიან ჭრელია, ამასაც ვხედავთ.***

– 60 ადამიანიდან ერთ-ორზეა საუბარი. ოთხნაპატრიოტალიც გვახსოვს. ამიტომ ამ ორი ადამიანის შესვლითაც არავითარი ტრაგედია არ დატრიალდება.

***– ნინო წილოსანი ამბობს, რომ ოპოზიციასთან მუდმივი კონსულტაციების რეჟიმში ვართ. ასეა?***

– ამ ადამიანს ელემენტარული სასკოლო განათლების პრობლემა აქვს. მის სამარცხვინო განცხადებებს ბოლო არ უჩანს. ახლა თურმე ქართველები და მუსლიმები შეარიგა თუ უნდა შეარიგოს. ამიტომ ვერაფერს გეტყვით მის ამ განცხადებაზე. არ გამოვრიცხავ, შეიძლება, ინჯიასა და მასთან კონსულტაციებს გულისხმობს. შემიძლია გითხრათ, რომ ოპოზიციურ პარტიებთან, მის აბსოლუტურ უმრავლესობასთან ხელისუფლებას არანაირი კომუნიკაცია არ გააჩნია. თუ მეხუთე რაუნდი იქნება, ეს იქნება ელჩების მეშვეობით საჯაროდ და ამის შესახებ მთელი ქვეყანა გაიგებს.

***– თუ არ იქნება მეხუთე რაუნდი?***

– თუ არ იქნება და ოპოზიციას თავისი გზა აქვს.

***– და რა გზაა ეს?***

– საპროტესტო აქციებისთვის ვემზადებით. საპროტესტო გამოსვლების გარეშე წარმატება ვერ იქნება.

# „ადვოკატების მიმართ ცილისწამებები გრძელდება“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის უფლებები „საფარმა“ დაარღვია და პასუხი უნდა აგონ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.**

***– ბატონო ნიკოლოზ, ადვოკატთა ასოციაციის წევრმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა თვითმკვლელობა ცადა. ამ შემთხვევას წინ უსიამოვნო ინციდენტი უძღოდა. რა მოხდა, თქვენ რის თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?***

– ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს, უჩივლა ერთმა ქალბატონმა, რომ მის მიმართ ახორციელებდა სექსუალურ შევიწროებას სოციალური ქსელით. არანაირ ფიზიკურ ან რაიმე სხვა ტიპის ძალადობაზე საუბარი არ არის.

***– ეს ქალბატონი მისი დაცვის ქვეშ იყო?***

– არა, არ იყო მისი კლიენტი. მე ვესაუბრე ლაშა ჯანიბეგაშვილს, ასევე მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს, რომელმაც მითხრა, რომ მათ მიმოწერაში არანაირი მუქარა არ არის და ეს ქალბატონი არც მისი კლიენტი ყოფილა. პირიქით, ეს ლაშა ჯანიბეგაშვილი ეუბნებოდა, შენ თუ რამე პრობლემა გაქვს, მიმართე ადვოკატსო. ლაშა თუ მისი ადვოკატი იყო, აუცილებლად უნდა არსებობდეს ხელშეკრულება, რაიმე სახის კონტრაქტი გაფორმებული. მათ მიმოწერაში რაიმე შეურაცხმყოფელი ან სექსუალური ძალადობის მსგავსი არაფერი ყოფილა. შეყარეს ტელევიზიები და ეს ადვოკატი სექსმანიაკად გამოიყვანეს.

***– როგორც ვიცი, შემაკავებელი ორდენიც იყო გამოწერილი ადვოკატზე. ეს უსაფუძვლოდ მოხდებოდა?***

– ამ ქალბატონმა პოლიციას მიმართა ექვსი თვის მერე. სწორედ ექვსი თვის მერე გამოწერეს შემაკავებელი ორდენი. მანამდე სად იყო? პოლიციამ სრულიად უსაფუძვლოდ გამოწერა შემაკავებელი ორდენი, თანაც – 6 თვის შემდეგ. ორდენის გამოწერა არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად დამნაშავეა. ამას სჭირდება გამოძიება, გამოძიება კი არ იყო დაწყებული. სისხლის სამართლის საქმეზე არც დაწყებულა გამოძიება ჯანიბეგაშვილის მიმართ. არც მტკიცებულებები დევს საქმეში. არადა, ისე წარმოაჩინეს, თითქოს



ეს კაცი არის მოძალადე და სექსმანიაკი.

***– იმის თქმა გინდათ, რომ საფუძვლიანი გამოძიება არ მომხდარა?***

– არ მომხდარა კი არა, გამოძიება არც დაწყებულა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, სხვა ადვოკატებსაც დასწამეს ადრე ცილი. ერთ ცნობილ ადვოკატს, რომელიც გახმაურებულ საქმეებში მონაწილეობდა, ერთ-ერთმა ქალბატონმა დასდო ბრალი. შემდეგ ამ ადვოკატმა იჩივლა და დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა. ასე არ შეიძლება, მე დაგაბრალებ და მერე შენ თავი იმართლე. გამოძიებაც კი არ დაწყებულა და ამდენი ცილისწამება მოვისმინეთ. ერთი მტკიცებულებაც რომ არ გაქვს, ასე მტკიცებით ფორმაში რატომ აშუქებ ამ ამბავს? იმიტომ, რომ მას ზურგს „საფარი“ და ბაია პატარაია უმაგრებს?!

***– ქალთა უფლებებს იცავენ.***

– არაერთი პროცესი წააგეს ამ კუთხით. ამ კონკრეტული საქმის უკანაც ეგენი დგანან. გვახსოვს კონკრეტული შემთხვევა პაპუნა უგრეხელიძესთან დაკავშირებით. საკმაოდ გახმაურებული საქმე იყო და პაპუნა უგრეხელიძემ მოიგო ეს პროცესი. ვინმემ ბოდიში თუ მაინც მოიხადა ამის გამო?! ეს ჯანიბეგაშვილი მოძალადე კი არ არის, პირიქით, ქალების უფლებებს იცავს და ერთ-ერთი გახმაურებული პროცესიც მოიგო, იქსფაქტორში მონაწილე ქალს იცავდა. კამპანია, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

***– რატომ ცადა ჯანიბეგაშვილმა თვითმკვლელობა, ვერ ამტკიცებს საკუთარ უდანაშაულობას? შესაძლოა, ეს მის წინააღმდეგ გამოიყენონ, რომ მას არ აქვს ჯანსაღი ფსიქიკა.***

– ყველა ადამიანი ვერ უძლებს ამხელა სტრესს. მტკიცებით ფორმაში რომ გაბრალებენ, რომ სექსმანიაკი ხარ, ძალადობ და ასე შემდეგ, ამის გაძლება არ არის ადვილი. ველარ გაუძლო ამ ადამიანმა. ახალი მოყვანილი ცოლი ჰყავს და, რომ არა ის, სუიციდის მცდელობას ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი ფაქტი და ამაზე უკვე დაიწყო გამოძიება. მის ადგილას წარმოიდგინონ თავი. მას ჰყავს ოჯახი, ნათესავები, ახლობლები, ასევე მის პროფესიულ კარიერასაც საფრთხე დაემუქრა. როდესაც ასეთი ბრალდებები ისმის, ამის შემდეგ ვინ ისურვებს შენთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. სუიციდის მცდელობის ფაქტზე უკვე დაიწყო გამოძიება, აღძრულია საქმეც.

***– რა მუხლით?***

– 115-ე მუხლით დაიწყო გამოძიება. ეს არის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მუქარა ან სასტიკი მოპყრობა, ან მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირება, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ექვს წლამდე. გამოძიების დასრულების შემდეგ მათ, ვინც ამ ადამიანს ცილი დასწამა და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა, სწორედ ეს სასჯელი ემუქრებათ. არ შეიძლება, სხვისი უფლებები ასე ფეხქვეშ გათელო.

***– საკმაოდ უტევთ ქალთა ორგანიზაციას და შესაძლოა, თქვენც მოგედავონ ამის გამო.***

– რაში უნდა მომედავონ?! მე ვამბობ იმას, რაც სიმართლეა. უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევენ, შეურაცხყოფას აყენებენ ადვოკატს და ამაზე არც უნდა ვისაუბროთ?! ზონდერ ფაშისტურ-ფემინისტური სექტაა, რომელიც ამ სახელმწიფოს თავზე აზის. ისეთი სისტემა ჩამოაყალიბეს, მთავარია, ქალმა თქვას, კაცმა ჩემზე იძალადაო, სულ არ იძიებს პროკურატურა, მაშინვე იჭერენ კაცს. თუ მოახერხა და სასამართლოზე თავი გაიმართლა, ხომ კარგი, თუ არადა, უნდა იჯდეს ციხეში.

***– ქალებზე ძალადობა რომ ხდება ოჯახებში ეს არახალია...***

– მე არ ვამბობ, რომ მოძალადეები არ არიან და მსგავსი ფაქტები არ ხდება, მაგრამ კაცმა თუ ოდნავ ხმას აუწია, ცოლი მაშინვე პოლიციაში გარბის. მე ბევრი პროცესი მაქვს მოგებული ოჯახურ ძალადობაზე. თუნდაც ეს ამნისტია, რომელიც ახლა გამოვიდა, ოჯახური ძალადობის მუხლით დაკავებულებს ეს ამნისტია საერთოდ არ შეეხოთ.

***– რატომ არ შეეხოთ?***

– იმიტომ, რომ სწორედ ასეთი ორგანიზაციების ზეგავლენის ქვეშ არის პოლიციაც, პროკურატურაც და პარლამენტიც. ეს ამნისტია იყო ბუტაფორია. ორი თვე რომ აქვს დარჩენილი სასჯელის მოხდამდე, ხომ შეიძლება, წაახალისო და გამოუშვა?! ეს კონკრეტული საქმე ობიექტურად უნდა გამოიძიონ და ცილისმწამებლები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. ეს უნდა იყოს სამაგალითო გამოძიება, რომ სხვას მსგავსი ცილისწამება აზრად არ მოუვიდეს. სრული კაცთმოძულეობაა ამ ქვეყანაში. მამაკაცების 80% აბსოლუტურად უსამართლოდ ზის ციხეში ოჯახური ძალადობის მუხლით.

***– ბატონო ნიკოლოზ, საკმაოდ ხშირია ოჯახური ძალადობის შემთხვევები და ამ განცხადებებით მათი წახალისება არ უნდა გამოგივიდეთ.***

– ხელისუფლებისგან ხდება ამ ყველაფრის პროვოცირება. ხელისუფლება აქეზებს ქალებს.

***– ეს რას ნიშნავს?***

– იმას, რომ თუ ქალი გაბრაზდა კაცზე, შეკამათება ყველგან ხდება და ქალს შეუძლია, ეს ოჯახური კამათი ძალადობად მონათლოს. სწორედ ხელისუფლება ახდენს პროვოცირებას, ხელისუფლება ეუბნება ქალებს – მიდით, დაიჭირეთ კაცები! აი, ეს არის ამ ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკა. თუ მართლა დასაჭერია, უნდა დაიჭირო, მაგრამ არანაირი მტკიცებულება რომ არ გაქვს და ისე სდებ ბრალს, ეს რამდენად სამართლიანია?! ახლა უკვე ადვოკატებზეც მასობრივად გადმოვიდნენ. თუკი ადვოკატის ინსტიტუტი ასე შეურაცხყვეს და ასე დააჩმორეს ადვოკატები, მერე ვინ როგორ დაგიცავთ. უდანაშაულო ადამიანის შეურაცხყოფა უნდა დასრულდეს.

# „ელისაშვილი, ხუხაშვილი, ლაგაზიძე და სხვები ივანიშვილის პროპაგანდას ეწეოდნენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვილაპარაკოთ მის პოლიტოლოგობაზე. 5-10-წუთიან ინტერვიუს მისცემენ და ექსპერტებად იწოდებიან.

***– თემას დავუბრუნდეთ. ვაშაძე შეძლებს ანგარიშგასაწევი ცენტრის შექმნას?***

– ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჭკვიანი ადამიანია, გააჩნია ინტელექტუალური პოტენციალი. იქნება თუ არა მესამე ცენტრი, ამას ვნახავთ. მე მას მხარს ვუჭერ, მაგრამ არ ვიზიარებ მის მოსაზრებას, რომ როგორც ივანიშვილი ჩამოსცილდა პოლიტიკას, სააკაშვილიც ისე უნდა ჩამოსცილდეს. სააკაშვილის ფაქტორის გამო ბევრი ადამიანი აძლევს ხმას ნაციონალურ მოძრაობას და ჯამში ოპოზიცია მეტ ხმას აგროვებს. ამას გარდა, ივანიშვილი პოლიტიკოსი კი არა, ოლიგარქია, სააკაშვილი კი პოლიტიკოსია. მას აქვს შეცდომებიც, მაგრამ – ბევრი დადებითი თვისებაც.

***– გავიდა რაღაც პერიოდი და ანალიზის უფრო მეტი შესაძლებლობა გექნებათ. როგორ ფიქრობთ, ის რეალურად წავიდა თუ ფსევდოწასვლა იყო ისევ?***

– რეალურად არ წასულა. მას სურს, შექმნას იმიტაცია, თითქოს საბოლოოდ წავიდა პოლიტიკიდან, განსხვავებით 2013 წლისგან, როდესაც გადადგა პრემიერობიდანაც და პარტიის თავმჯდომარეობიდანაც. მაშინ ყველამ იცოდა, რომ ჩართული იყო პოლიტიკაში და ზემოქმედებასაც ახდენდა პროცესებზე. ამის გამო საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკა არაერთხელ დაიმსახურა ხელისუფლებამ, რომ არსებობდა არაფორმალური მმართველობა. დღეს ეცდება, გააქარწყლოს ხმები, მაგრამ ის დაინტერესებულია იმით, რომ „ოცნებამ“ ძალაუფლება შეინარჩუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქართველოში არ დაედგომება, მაგრამ ამ ეტაპზე მგონია, რომ ქვეყანაში დარჩენას აპირებს. კი ამბობს, რომ არ შეაწუხონ რჩევებისთვის და ა.შ. მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული ფორმით პოლიტიკაში იქნება. ისიც ვიცით, რომ ის თანამშრომლობდა სააკაშვილის ხელისუფლებასთან და თავის დროზე – შევარდნაძესთანაც, ანუ პოლიტიკურ პროცესებზე გარკვეული ზემოქმედება ჰქონდა.

***– ოპოზიციისთვის უკეთესია, ივანიშვილი დარჩენილიყო ოფიციალურად პოლიტიკაში თუ დღევანდელი ვითარება უფრო ხელსაყრელია?***

– მგონია, რომ დღევანდელი ვითარება უკეთესია. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ფაქტს მაინც იმგვარად აღიქვამს, რომ ივანიშვილი მართლა წავიდა პოლიტიკიდან. ბევრმა ხმა „ოცნებას“ ივანიშვილის ფაქტორი გამო მისცა, განსაკუთრებით – 2012 წელს. იმავე 2018 წელს თქვა, 1 წელი მომეცით, ყველაფერს გამოვასწორებო და მეორე ტურში ზურაბიშვილს მისცა ამომრჩეველმა ხმა. ამიტომ მგონია, დღეს „ოცნებამ“ 40%-ზე მეტი რომ მიიღო, ეს ივანიშვილის ფაქტორითაც არის გამოწვეული. ახლა ბევრს სწამს, რომ ივანიშვილი ჩამოსცილდა პოლიტიკას და მაშინ რატომღა უნდა მისცენ „ოცნებას“ ხმა? ამიტომ შესაძლებელია, ივანიშვილის ჩახსნამ „ოცნების“ რეიტინგი შეამციროს და ოპოზიციას პოლიტიკური ბრძოლის წარმართვა უფრო გაუადვილდება.

# „ივანიშვილს იმიტომ არ გაუყალბებია არჩევნები, რომ მერე სულ წასულიყო“

## გოგი წულაია: „იმ გამოსვლების შედეგად, რომლებიც გაზაფხულზე დაიწყება, ხელისუფლება ფარ-ხმალს დაყრის“

მარიამ მჭედლიშვილი



**ოპოზიციურ ერთობაში არსებული უთანხმოება გამწვავდა. პარტიები ერთმანეთს ღიად ეჯახებიან. ლიდერები საქმეს ღია ეთერშიც კი არჩევენ. რა ხდება ამ ერთობასა და მმართველ პარტიაში? რა მთავარი პრობლემის წინაშე დგას ქვეყანა? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სხვა პარტიის, „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ გოგი წულაიას.**

***— ოპოზიციური ერთობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს თქვენი პარტიაც იზიარებს. ამ ერთობაში ბოლო დროს დიდი გაწევ-გამოწევაა. თქვენ რას იტყვით?***

— დიდი ხანია გვესმის, რომ ზოგიერთები უარს ამბობენ თავიანთ მოთხოვნებზე და პარლამენტში შედიან. ასეთებზე ადრე ვთქვი, რომ მათი პოლიტიკაში ყოფნა ამით დამთავრდება და მათ დედა ეტირებათ. ელისაშვილმა და ხვიჩიამ კიდევ ახალი რაღაც დაამატეს და ყველა ტელევიზიაში ეგენი გახდნენ მთავარი გმირები და ჯიგარი ტიპები. რა გაგვიხურეს საქმე?! შედიან და შევიდნენ! არა მგონია, „აგენის“ გამონათქვამები იყოს ქვეყნის უმთავრესი პრობლემა. თან თავიანთი სიტყვა უკან მიაქვთ და თან უნდათ, ყველამ ტაში დავუკრათ.

***— მთავარი პრობლემა რა არის?***

— ხალხის მდგომარეობა. ადამიანები რომ შიმშილობენ და კორონავირუსისგან იხოცებიან, ამას ემატება დაღუპვა სამუშაო ადგილებზე. აგერ, ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანაში დაიღუპა კაცი. ასეთ ფაქტებს აჩუმათებენ.

***— რისგან დაიღუპა მუშა?***

— საშინელი შრომის პირობებისაგან. მეტალურგიული ქარხნის მუშებს ადამიანური არც პირობები აქვთ და არც ხელფასები. მაღაროებსა და მშენებლობებზეც იხოცებიან ადამიანები. იმის მაგივრად, რომ ამაზე, ხალხის სიდუხჭირეზე, კორონაკრიზიდან გამოსავალზე იყოს საუბარი, დღე და ღამე ვუყურებთ ელისაშვილსა და ხვიჩიას და ველოდებით, როდის შევლენ პარლამენტში. შევიდნენ, მაგრამ პასუხისმგებლობის აღება უნდა შეეძლოთ.

***— პასუხისმგებლობის აღებაში რა იგულისხმება?***

— რა და, თუ შეატყვე, რომ მართალი არ ხარ, ან პოლიტიკა უნდა დატოვო, ან ბოდიში მაინც მოიხადო. ახლა, ამ კრიზისში რა დროს ეგაა! ამ შეზღუდვების შემსუბუქებასა და მოხსნას საშველი არ დაადგა. ადამიანები ლუკმაპურს ვერ შოულობენ, ვერ გადაადგილდებიან. ბევრი დიდ მანძილს ფეხით გადის. ვინც მუშაობს, სიკვდილს უყურებს თვალებში ან იღუპება. ხელისუფლება იმასაც კი არ გვეუბნება, რას და როგორ აპირებს.

***— ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის გარეშე დარჩა. რას უნდა ველოდოთ?***

— რას უნდა ველოდოთ და აღვირახსნილობას. ამათი მსუნაგობა ზღვარს გადავა. ეს ხალხი მეტი მონდომებითა და გაშმაგებით გააგრძელებს ფულის დატაცებას. თან ოპოზიცია არ ჰყავთ და ხელს ვინ შეუშლით?!

***— ოპოზიცია რატომ არ ჰყავთ? პარლამენტის გარეთ ოპოზიცია არ არის?***

— ოპოზიცია როგორ არ არის, მაგრამ პარლამენტი სხვაა. იქ არსებობს ტრიბუნა, წვდომა საჭირო ინფორმაციაზე. ოპოზიცია პარლამენტში არ შედის. ის აპროტესტებს გაყალბებულ არჩევნებს და მოითხოვს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას. ვინც შევიდა და შევა, ის ოპოზიციად არ ჩაითვლება.

***— ოპოზიციურ ერთობაში არსებობს სახალხო პარლამენტის, ე.წ. ალტერნატიული პარლამენტის მოწყობის ინიციატივა.***

— არა მგონია, ეს რეალური იყოს. მაგას დიდი თანხები, ორგანიზაცია და შენობაც სჭირდება. სახალხო პარლამენტი ასე ადვილად ვერ შეიკრიბება. ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა მოჰყვება ეკონომიკურ სტაგნაციას. იქნება უარესი შიმშილი. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ ამაზე და ვაქცინაციაზე.

***— ვაქცინაციაზე ხელისუფლება ყოველდღე ლაპარაკობს.***

— კი, მაგრამ ჩვენ ამ ხელისუფლებას ნაკლებად ვენდობით. უნდა მოვახდინოთ ზეწოლა, რომ ვაქცინაცია დაჩქარდეს.

***— პოსტივანიშვილის ეპოქა დაიწყო?***

— არა. ივანიშვილი გვერდზე გავიდა. მისი ყურადღება მოდუნებულია, მაგრამ ის არსადაც არ წასულა. იმიტომ არ გაუყალბებია ივანიშვილს არჩევნები, იმიტომ არ მოუხმარებია ამდენი ფული „ქართული ოცნებისათვის“, რომ მერე სულ წასულიყო. არ ვიცი, რა ხერხებსა და მეთოდებს გამოიყენებს. შეიძლება, ახალი პარტიაც დააფუძნოს. ისე, „ქართულ ოცნებასა“ და ხელისუფლებაში სულ მისი დასმული ხალხი არაა?! სასამართლოც ექვემდებარება.

***— დააფინანსებს „ოცნებას“? ეს პარტია საარჩევნოდ ასტრონომიულ თანხებს ხარჯავს.***

— შეიძლება, დააფინანსოს კიდეც. ეს რომც არ გააკეთოს, „ოცნებას“ მილიონერების მეტი რა ჰყავს! მილიონერები დეპუტატებიც გახდნენ. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ივანიშვილი ღია პოლიტიკაში მოვიდა, ისაა, რომ მას ყელში ამოუვიდა სხვა პოლიტიკოსების შენახვა. სააკაშვილი სულ უფრო მეტს ითხოვდა. სააკაშვილის ღორობა მობეზრდა და თვითონ ჩაერთო პოლიტიკაში.

***— ერთხელ ისიც გვითხრა, თქვენ რომ სოროსის დაფინანსება გეგონათ, ის ჩემი იყოო.***

— ეს ივანიშვილის სიტყვებია. მან სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას უზარმაზარი თანხები მოახმარა. ახლა მაგ ჭკუაზეა სწორედ, სხვა პოლიტიკოსებს შესწიროს დიდი ფული, თვითონ კი საერთოდ არ გაეკაროს პოლიტიკას!

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება გაშმაგდება ფულის კეთებაში.***

— სწორედ ეგრე იქნება. წასვლის წინ საქართველოს ყველა ხელისუფლება ასე აკეთებდა. დასასრულისკენ ერთმანეთს ჭამენ და მეტს ჩალიჩობენ.

***— „ქართული ოცნების“ დასასრულს როდის წინასწარმეტყველებთ?***

— ისეთი კრიზისია, გაზაფხულზე აუცილებლად იქნება გამოსვლები. პირველ რიგში, სოციალური მდგომარეობის გამო. ამას დაემატება გაყალბებული არჩევნები. იმ გამოსვლების შედეგად, რომლებიც გაზაფხულზე „დეიწყება“, ხელისუფლება ფარ-ხმალს დაყრის. ხალხი ახლაც უკიდურეს დღეშია, მაგრამ ვერ აქტიურობს. გაზაფხულზე ვნახავთ აქტიურობას და ამას მოჰყვება „ოცნების“ ხელისუფლების წასვლა. შემდეგი ხელისუფლება კოალიციური უნდა იყოს. ეს ხალხის დაკვეთაა.

# მამუკა ტუსკაძე: „ივანიშვილი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას თვითონ შეეცდება“



**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***— ბატონო მამუკა, ალბათ, ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებს აკვირდებით. პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხმა ოპოზიციაში ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია. თქვენი შეფასებით, რასთან გვაქვს საქმე?***

— პარლამენტში შესვლა-არშესვლა მნიშვნელოვანი არ არის. პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი გადაწყვეტილია. პარლამენტში შევლენ კიდევაც და ამ წუთისთვის 150 დეპუტატიც არის. 20 იანვრის შემდეგ ასე იქნება. პარლამენტის ლეგიტიმაციისთვის 100 დეპუტატიც საკმარისია.

აქ საუბარია იმაზე, ოპოზიციური ძალებსა (რომელსაც მიხეილ სააკაშვილი უდგას სათავეში) და პოზიციას შორის (რომელსაც ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში) მიიღწევა თუ არა შეთანხმება რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაზე არჩევნების გაყალბების გამო.

თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, ეს იმას ნიშნავს, არჩევნები გაყალბდა. ხელისუფლება იჩემებს და ამტკიცებს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. შესაბამისად, მას არ უნდა, პარლამენტი დაიშალოს. ერთპარტიული პარლამენტის პრობლემა მოხსნილია.

რატომ არის პარლამენტი ერთპარტიული? 14-მა პარტიამ გადალახა ბარიერი. არ შემოდიხართ? რა ჩემი ბრალია, თუ 14-პარტიული პარლამენტი გარდაიქმნა ერთპარტიულ პარლამენტად? ეს დანარჩენი 13 პარტიის ბრალია.

***— თქვენ ამბობთ, პარლამენტის ლეგიტიმაციის საკითხი არ დგასო. რეალურად, პარლამენტში 100 დეპუტატი არის?***

— ალეკო ელისაშვილსა და ლევან იოსელიანს ორი მანდატი აქვთ. ამას „გირჩის“ ოთხი მანდატი და „ოცნების“ 94 მანდატი ემატება. ეს კი ზუსტად 100 მანდატია. 2024 წელს კი არა, კიდევ იქით რომ იყოს არჩევნები, საქართველოს პარლამენტი მაინც 100-კაციანი იქნება, თან 100 დეპუტატიდან 90 ერთი პარტიის იქნება, რაც ძალიან ცუდია.

***— პარლამენტს ლეგიტიმაცია რომ აქვს, ცუდია?***

— პარლამენტს ლეგიტიმაცია რომ აქვს, კარგია. განმეორებითი არჩევნები არ დაგვჭირდება. არალეგიტიმური პარლამენტი თუ იქნებოდა, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების აუცილებლობა დადგებოდა. 99-კაციანი პარლამენტი რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა, რადგან ოქროს შუალედი წარმოიშობოდა. პარლამენტის თავმჯდომარე და ირაკლი კობახიძე გამოვიდოდნენ და იტყოდნენ, რა ვქნათ, ხალხო, მართალია, არჩევნები არ გაყალბებულა, მაგრამ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები მაინც უნდა ჩავატაროთ იმ მიზეზით, რომ ოპოზიციამ კანონმდებლობით იხელმძღვანელა, კანონში ხარვეზი აღმოაჩინაო.

***— პატარა და თქვენისთანა ახალ პარტიებს ასე სწრაფად კიდევ ერთი რიგგარეშე, მორიგი თუ განმეორებითი არჩევნების ჩატარება აწყობთ?***

— სიმართლე გითხრათ, არ გვაწყობს. ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიისთვის 1 მილიონი ლარი დავხარჯეთ და კიდევ მეტია დასახარჯი, რომ გარკვეულ შედეგს მივაღწიოთ. შესაბამისად, ძნელია 2-3 თვეში მილიონიანი სპონსორი მოძებნა, რომელიც ისევ ამხელა თანხით დაგვაფინანსებს. ამიტომ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში რთული იქნება სასურველი შედეგის მიღწევა. ჩვენ ახლა ვიწყებთ რეგიონებში თავიდან გასვლას, რებრენდინგს, ორგანიზაციის თავიდან აწყობას, რისთვისაც დრო გვჭირდება.

ადგილობრივი არჩევნები კარგია. რიგგარეშე არჩევნების საჭიროება რომ წარმოიშვას, ალბათ, 2022 წლამდე არ დაინიშნება. არავინ იცის, 2022 წლამდე კიდევ რა შეიცვლება.

***— სხვათა შორის, „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, 54 პარტია ჩვენნაირად ფიქრობს, ანუ ახალი არჩევნების დანიშვნას მოითხოვს და არა ისე, როგორც ალეკო ელისაშვილიო. მოგეხსენებათ, ალეკო ელისაშვილსა და დანარჩენ ოპოზიციას შორის დაპირისპირებაა. 54 პარტიაში, მგონი, თქვენც მოიაზრებით.***

— ასეა, მაგრამ მე არ მოვითხოვ რიგგარეშე არჩევნებს. თუ პარლამენტი გახდა არალეგიტიმური, ბუნებრივია, რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს, მაგრამ ჯერჯერობით საქმე იქითკენ მიდის, რომ პარლამენტი არალეგიტიმური არ ხდება.

ალეკო ელისაშვილისა და იაგო ხვიჩიას დანაშაული ის არის, თავიდანვე ნაცრეჟიმის შემოქმედებთან სალაპარაკოდ რომ დასხდნენ, თავი თავზე მიადეს და ბევრ რაღაცაზე შეუთანხმდნენ. ამიტომ იყო, რომ მერე მათ ქმედებას ღალატი უწოდეს.

ალეკო ელისაშვილსა და იაგო ხვიჩიას პირველივე შეხვედრაზევე უნდა დაეტოვებინათ მოლაპარაკება. მთელ წინასაარჩევნო პერიოდში ნაცრეჟიმს ეთამაშნენ და ეთანამშრომლნენ, ახლა უთხრეს, არაო. ბუნებრივია, ჯალათებისაგან სასიკეთოს არაფერს უნდა ელოდე. ისინი აკეთებენ იმას, რასაც მთელი 9 წელი აკეთებდნენ. ელისაშვილი დამნაშავეა იმაში, რომ ნაცრეჟიმს თამაშში შეჰყვა. მათ თამაშში არ უნდა შეჰყოლოდა და მათ პარტნიორად არ უნდა ქცეულიყო.

შალიკოს ფანჩატურიდან ორმასამმა ადამიანმა მეც დამირეკა, მაგრამ ცივი უარი ვუთხარი. მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო და მაცდუნებელი წინადადებები ჰქონდათ, მაინც არ მივედი. მათ ახალი და ზუსტად ჩემნაირი პარტია უნდოდათ.

***— რა მაცდუნებელი წინადადებები ჰქონდათ?***

— მაგალითად, ადგილი 90 კაცში (ისინი ვარაუდობდნენ, რომ პარლამენტში 90 კაცს გაიყვანდნენ) და კიდევ რაღაცები, მაგრამ არ დავთანხმდი, რადგან თავიდანვე ვიცოდი, რა ხალხთან მქონდა საქმე.

***— თუ ნათელაშვილის ეზოს თავყრილობებზე მიხვიდოდით, თქვენს მწამებელ ნაცრეჟიმთან უნდა დამჯდარიყავით.***

— იქ რომ მივსულიყავი, სააკაშვილის გუნდი და ბოკერია თავისი გუნდით იქ არ უნდა ყოფილიყვნენ.

***— თუ არ ვცდები, ელისაშვილი და ხვიჩია ფიქრობენ, რომ „ოცნებასთან“ მოლაპარაკებაში პროცესები იმ კონდიციამდე მივიდა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ოთხი საკითხიდან 3-ის დაკმაყოფილების გზით, შეიძლება, განმეორებით არჩევნებსაც მიაღწიონ.***

— არასაპარლამენტო ოპოზიციის სახელით მინდა განვაცხადო (12 პარტია ვართ), რომ ჩვენც მივესალმებით, თუ შეიცვლება საარჩევნო და თვითმმართველობის კოდექსები და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ, არ გვექნება პრეტენზია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე.

თუ პარლამენტის შემადგენლობა 99 დეპუტატზე დავიდა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მაინც საჭირო გახდება. თუმცა კობახიძე უნარიანი აღმოჩნდა და პარლამენტში 100 კაცის შენარჩუნება შეძლო.

***— რატომ აწყობთ ნაცმოძრაობას, „ლელოსა“ და „ევროპულ საქართველოს“ არსებული საარჩევნო კოდექსითა და ცესკოს შემადგენლობით განმეორებითი არჩევნების ჩატარება?***

— ამ პარტიებს ისევ იმ პირობებში არჩევნების ჩატარება იმიტომ აწყობთ, რომ დამარცხებულის ფსიქოლოგია იმოქმედებს, სიმპათია მათ მხარეს იქნება. თუ გაყალბებული არჩევნების სანაცვლოდ განმეორებითი არჩევნები ჩატარდებოდა, ჩათვალეთ, რომ ოპოზიცია არჩევნებს მოიგებდა. ამას, როგორც ანალიტიკოსი, გეუბნებით. თუ პარლამენტის არალეგიტიმურობის გამო მორიგი არჩევნები ჩატარდა, მაშინ ნაციონალებს მოგება გაუჭირდებათ.

***— დიდი პარტიები, რომლებსაც ბევრი ხმა აქვთ, არ ფიქრობენ, როგორი საარჩევნო ბარიერი იქნება. როგორც ჩანს, „ოცნება“ ამბობს, რომ შემდეგი არჩევნები 5%-იანი ბარიერით უნდა ჩატარდეს. 5%-იანი ბარიერის პირობებში ხომ მხოლოდ „ოცნება“ და ნაცმოძრაობა გავლენ. იაგო ხვიჩია მოითხოვს, ისევ 1%-იანი საარჩევნო ბარიერი იყოს. თქვენთვის ეს პრობლემა არ არის?***

— თუ რიგგარეშე არჩევნები იქნება, ზუსტად იმ სისტემით უნდა ჩატარდეს, როგორც 2020 წლის არჩევნები ჩატარდა. კონსტიტუციაში უკვე წერია, რომ 2024 წლის არჩევნები 5%-იანი ბარიერით, სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. თუმცა ხელისუფლება ამბობს, რომ უკან დაიხევს და 2024 წლისთვის 5%-იანი ბარიერის შეცვლას დასთანხმდება.

მეც იმავე აზრზე ვარ. შეიძლება, ამ მოთხოვნით საპროტესტო აქციებიც წამოვიწყოთ — ახალ პოლიტიკურ ძალებს კიდევ ერთხელ უნდა მიეცეთ საშუალება, ბარიერი გადალახონ. ამიტომ დაბალპროცენტიანი ბარიერი უნდა იყოს. თუ 1%-იანი ბარიერი არ იქნება, 2 ან სამი პროცენტი მაინც უნდა იყოს.

***— თუ უნდათ, პარლამენტში მარტო არ იყვნენ, ბარიერი უნდა დასწიონ.***

— პარლამენტში „ოცნება“ და ნაცმოძრაობა მარტო რომ არ დარჩნენ და ისევ ის პრობლემები არ ჰქონდეს ქვეყანას, რომლებიც დღეს აქვს, ბარიერი უნდა დასწიონ და მთავარი — ჩამკეტი უნდა მოიხსნას. ამ არჩევნების შედეგებით „ოცნებამ“ ორი მანდატი ოპოზიციას პირდაპირ აჩუქა. „ოცნებას“ ჰქონდა 92 მანდატი, მაგრამ ჩამკეტი მექანიზმის გამო ორი მანდატი ოპოზიციას გადაულოცა. „ოცნებას“ 98 კაციც რომ გაეყვანა, მაინც 90 მანდატი ერგებოდა, რადგან ჩამკეტი დაწესდა, რაც შეზღუდვაა. ეს არასწორია.

***— თქვენ ორი მხარე გამოყავით — ერთ მხარესაა ნაცმოძრაობა და სააკაშვილი, მეორე მხარეს კი — „ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილიო. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა. ფიქრობთ, რომ ისევ არსებობს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი?***

— არჩევნები ბიძინა ივანიშვილმა მოიგო. შესაბამისად, ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის გუნდი დარჩა. ამ გუნდზე გარკვეული ვალდებულებებია. კობახიძის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილთან კავშირი მექნებოდა. შეიძლება, ყოველდღიურად საქმის კურსში არ ჩააყენოს, მაგრამ, ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი თვითონ შეეცდება 2022-23 წლებში რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას, მაგრამ არა არჩევნების გაყალბების მიზეზით, არამედ, სავარაუდოდ, ამ გუნდს გაუჭირდება.

თავიდან მეც მეგონა, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არ გაყალბებულა. დარღვევები იყო, მაგრამ არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. ზეწოლა ან დაშინებაც რომ მომხდარიყო, მაინც იგივე შედეგი დადგებოდა. პირიქით, 92 მანდატი აიღო და ჩამკეტის გამო დღეს „ოცნებას“ 90 მანდატი აქვს.

ბიძინა ივანიშვილის როლი ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ განუსაზღვრელია. მიშა სააკაშვილიც არ არის საქართველოში, მაგრამ, რეალურად, ვინც ნაცმოძრაობას მისცა ხმა, მიხეილ სააკაშვილის ხმაა.

***— მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არ არის, მაგრამ აქტიურობს.***

— მერე რა? აქტიურობის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ვიღაც ხმამაღლა გამოხატავს თავის აზრს, მაგრამ ვიღაცას ჩუმად ქმედება ურჩევნია. ივანიშვილის ქმედებაც და სააკაშვილის ქმედებაც ჩემთვის ორივე ქმედებაა.

## ნიკა გვარამიას სასამართლო 2 თებერვალს დაინიშნა

მთავარი არხის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესი 2 თებერვალს ჩაინიშნა. ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„ბატონო ბიძინა, თქვენ წახვედით თუ არა, სასამართლომ ეგრევე დაკარგა დამოუკიდებლობა და საშინლად მოქცევა დაიწყო! პროკურატურაც აყვა! აი, მაგალითად, მე, 2 თებერვალს პროცესი ჩამინიშნეს. აღარც რვა მარტის შეთანხმება ახსოვთ, აღარც კორონას გამო მორატორიუმი.



მოკლედ, მეხსიერებაც მეესპოთ უთქვენოდ და სინდისიც წაიწყმიდეს. თქვენ აკი დაწერეთ საანდერძო უსტარში, მივდივარ და დიდი დარდი მიმყვება, გვარამიას ვერაფერი რომ ვერ ვუქენიო. ხოდა აგინს უნდათ ციხეში ჩასმა მიქნან. ხოდა, მობრუნდიიიიით რააააა, რა კაი იყო თქვენ დროს, სამართლიანი პროკურატურა და სასამართლოოოო!“

ადვოკატმა დიტო საძაგლიშვილმა აღნიშნულზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

– პირველ დეკემბერს ჩაინიშნა გვარამიას პროცესი, მაგრამ მეორე დღეს დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ვინაიდან ქვეყანაში იყო კოვიდპანდემია, ამის გამო პროცესი გადიადო, ბუნებრივია, მაშინაც ჩვენთვის სასაცილო იყო ეს არგუმენტი, იმიტომ, რომ პანდემია არ დაწყებულა დეკემბერში და ახლა მით უმეტეს სასაცილოა, რადგან ვიცით, ასეა ცნობილი, რომ ჯერჯერობით კოვიდპანდემია არ დამარცხებულა საქართველოში. ეს არის მანიშნებელი იმის, რომ პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ნიკა გვარამიას წინააღმდეგ და სასამართლო არის შემსრულებელი.

მთავარი არხის გენერალურ დირექტორს პროკურატურა ედავება ჯერ კიდევ „რუსთავი 2“-ის დირექტორობის დროს დამამძიმებელ გარემოებებში ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას. თუ ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგება ადამიანის უფლებათა ცენტრში ამბობენ, რომ ეს საქმე სტრასბურში გასაჩივრდება.

2019 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოძიება უსაფუძვლოა და ის საერთოდ არ უნდა დაწყებულიყო. მისი თქმით, საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები საერთოდ არაა.

## ვასილ მამულაშვილი: „ვახტანგ ახვლედიანი ცრუ მოწმეა“



ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებული არჩილ გაგნიძის ადვოკატის ვასილ მამულაშვილის განცხადებით, დაზარალებული ვახტანგ ახვლედიანი ცრუ მოწმეა და მისი ჩვენებით ვერაფერი დგინდება.

როგორც მამულაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ახვლედიანს რეალურად არაფერი დაუნახავს და ვერც იმ პირების იდენტიფიცირებას ახდენს, ვინც მისდევდა.

– ფაქტობრივად, ერთგვარი ლუსტრაცია მოხდა, რომ მოწმე არის ცრუ მოწმე, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ ცრუ ჩვენებიდან გამომდინარეც მთავარი არის ის, რომ ახვლედიანს არ დაუნახავს, ვინ მისდევდნენ, არ არის შემსწრე შესაძლო ძალადობის, მას არ გაუგონია შაქარაშვილის დახმარების თხოვნა, ყვირილი და ა.შ. არ დაუნახავს წყალში დახრჩობა, შესაბამისად, იგი არანაირ ინფორმაციას არ ფლობს, ისევე როგორც სხვა მოწმეები.

მოწმე ვერ ჩამოყალიბდა პოზიციებზე, რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება, დაგვეთანხმა, რომ მას უკან არ გაუხედავს და ისე ჩავიდა, ვერ ხედავდა, ვინ მისდევდა, თუმცა მეორე ნაწილში აღნიშნა, რომ 3 პირი მისდევდა. თუმცა იდენტიფიცირება არ მოუხდენია.

მთლიანობაში ეს მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა. დაუშვებელი რომც არ იყოს, მისი გაზიარებით ვერაფერი დგინდება. აღნიშნა, ეს 3 პიროვნება, შესაძლოა, ყოფილიყო პატარა ასაკის, თუმცა, როდესაც დავუსვი შეკითხვები, როგორ მოხდა ასაკის იდენტიფიცირება, ამაზე პასუხი არ ჰქონია, – განაცხადა მამულაშვილმა.

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებული 5 პირის სასამართლო პროცესზე დაზარალებული ვახტანგ ახვლედიანი მოწმის სტატუსით დაკითხეს. საქმეზე ბრალდებულები არიან: არჩილ გაგნიძე, ვახტანგ ჩიქოვანი, ნიკოლოზ რევაზიშვილი, ზ.ხ. და ა.ქ.

## „მელაშვილი და ილიჩოვა ზემდგომი თანამდებობის პირების დავალებას ასრულებდნენ“

### პროკურატურამ ბრალი დააზუსტა

საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგო ჩადენილ ქმედებაში ბრალდებულების ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას საქმის პროკურორ მიხეილ სადრაძის განცხადებით, დაკავებულებისთვის ბრალის დაზუსტების მიზეზი დანაშაულის მოტივი გახდა.

როგორც მიხეილ სადრაძე განმარტავს, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ. პროკურორის თქმითვე, საქმეზე ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი არსებობს, რომლის დემონსტრირებასაც საგამოძიებო უწყება უახლოეს მომავალში აპირებს.

– 20 იანვარს მოხდა ბრალდებულებისათვის ბრალის დაზუსტება. რაც შეეხება ბრალის დაზუსტების საფუძველს, ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, დავაანონსეთ, რომ მოტივი დადგენილი და გამოკვეთილი გვქონდა, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გასაჯაროებისგან თავს ვიკავებდით, რადგან ამ მიმართულებით დამატებითი ღონისძიებები მიმდინარეობდა, დღეს უკვე შესაძლებლობა გვაქვს, თავისუფლად ვისაუბროთ მოტივთან დაკავშირებით და საზოგადოებას მივაწოდოთ.

დადგენილია, რომ ბრალდებულები მოქმედებდნენ განზრახ და ასევე დავალებების შესა-



ბამისად, ზემდგომი პირების, ზემდგომი თანამდებობის პირების დავალებების შესაბამისად საუბრობდნენ. რაც შეეხება მტკიცებულებებს, თუ რა ადასტურებს ამ გარემოებას.

პირველი, ეს არის მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, თუმცა, ყველაზე მთავარი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებია, ეს არის აუდიო-ვიდეო მასალა, რომელიც პრაქტიკულად ვიზუალური დემონსტრაციაა, როგორც ამ გარემოების – მოტივთან დაკავშირებით, ასევე ყველა მნიშვნელოვანი გარემოების, რაც ბრალდებულების ქმედებებს ნარატივად გასდევდა.

აქვე დავაანონსებ, რომ უახლოეს მომავალში, ყველა ამ გარემოებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, ჩვენ ამის დემონსტრაციას მოვახდენთ, საზოგადოებას ამას ნათლად მივაწვდით და ეს უკვე პრაქტიკულად დოკუმენტური დესკრიპცია იქნება, საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა შეექმნება როგორც ბრალდებულების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან, ასევე მოტივთან დაკავშირებით, – განაცხადა სადრაძემ.

მისივე თქმით, ბრალდებულებთან შესაძლო დანაშაულებრივ შემხებლობაში მყოფი პირების გამოსავლენად გამოძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

– ფარულ ვიდეო-აუდიო მასალაში მოტივზე, დავალებებთან დაკავშირებით, ყველაფერი ნათლად არის აღბეჭდილი და ამას უახლოეს მომავალში საზოგადოებას წარვუდგენთ და დემონსტრაციას მოვახდენთ. რაც შეეხება სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხს, მათ შორის, ბრალდებულებთან შესაძლო დანაშაულებრივ შემხებლობაში მყოფი პირების პასუხისმგებლობის საკითხს, ვაგრძელებთ გამოძიებას, გამოყოფილი საქმეა, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და აუცილებლად, როცა შესაბამისი შედეგები იქნება, ამასაც საზოგადოებას მივაწვდით, – განაცხადა სადრაძემ.

## მარი შარაშიძე: „თამარ ბაჩალიაშვილი სიკვდილამდე 1 თვით ადრე საფრთხის შესახებ მაფრთხილებდა“



21 წლის მარი შარაშიძემ, შესაძლოა, თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეში პროკურატურის დასრულებული გამოძიება თავდაყირა დააყენოს.

მთავარის ცნობით, შარაშიძე ამბობს, რომ მას გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე პროგრამისტი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აფრთხილებდა.

პროკურატურაში მარი შარაშიძის შენახული შეტყობინებები ადვოკატებმა მტკიცებულებების სახით გასულ კვირას წარმოადგინეს, თუმცა გამოძიება სულ სხვა მიმართულებით, მტკიცებულებების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე დაიწყო.

პარალელურად, დაკითხეს შარაშიძის ბიძა და ბიცოლა და ახალ მოწმეს გაჩუმება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავებით დაემუქრნენ.

საქმის ადვოკატები დარწმუნებული არიან, რომ შოთაძის უწყება ახლა ყველაფერს გააკეთებს, რათა შარაშიძემ ჩვენება შეცვალოს.

უფრო მეტიც, პროკურატურის განცხადებას, რომ მარი შარაშიძეს მენტალური პრობლემა აქვს, შოთაძის უწყების წინააღმდეგ მთავარ არგუმენტად აცხადებენ ადვოკატები. მათი თქმით, ახალგამოჩენილ მოწმეს ფსიქიკური ექსპერტიზა არ ჩასტარებია და გამოძიება ახლა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქმე აქამდე არც მივიდეს.

ოჯახის წევრები დარწმუნებული არიან, რომ თამარ ბაჩალიაშვილი მარი შარაშიძესთან რეალურად მეგობრობდა, რადგან არსებობენ კიდევ სხვა ადამიანები, რომლებიც ოჯახს ამ დრომდე უკავშირდებიან და უყვებიან, რომ პროგრამისტი საფრთხის შესახებ მათაც სწერდა. ახლა მათი მთავარი მოთხოვნაა, პროკურატურამ გახსნას მიმოწერა და ჩატარდეს ექსპერტიზა, განსაკუთრებით კი იმ ხმოვანი შეტყობინებების, რომელთაც 23 წლის პროგრამისტი ვირტუალურ მეგობარს უგზავნიდა, რადგან ხმით ზუსტად დადგინდება, იყო თუ არა ეს ნამდვილად თამარ ბაჩალიაშვილი.

მარი შარაშიძე არ არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თამარ ბაჩალიაშვილი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სოციალურ ქსელში დაუმეგობრდა. ასეთია დაახლოებით 5.000 ფეისბუქმომხმარებელი, მათ შორის თეონა ყურუა, ნორვეგიის მოქალაქე, რომელმაც ნიკა გვარამიას გადაცემაში ჩართვისას თქვა, რომ ბაჩალიაშვილი პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას ნორვეგიაში ცდილობდა და დეტალებს ყურუასთან არკვევდა.

ამასობაში საქართველოს პროკურატურაში თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, მტკიცებულების შესაძლო ფალსიფიკაციის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

როგორც უწყების ინფორმაციიდან ირკვევა, გოგონა, რომელმაც ბაჩალიაშვილის ოჯახის წევრებს გარდაცვლილთან მიმოწერის ამსახველი მასალა მიაწოდა, მათ მცდარ ინფორმაციას აწვდის. პროკურატურის ცნობითვე, აღნიშნული პირი ფსიქიკური პრობლემებიდან გამომდინარე მეურვეობის ქვეშ იმყოფება.

„გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მოქალაქე გ.თ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მასთან მცხოვრებ ნათესავ გოგონას მ.შ.-ს, რომელიც ფსიქიკური პრობლემებიდან გამომდინარე მეურვეობას საჭიროებს და მასთან ცხოვრობს, სისტემატიური სატელეფონო ურთიერთობა აქვს თამარ ბაჩალიაშვილის დედასთან, თეონა თამაზაშვილთან და მის ადვოკატ მიხეილ რამიშვილთან, რომლებსაც მცდარ ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, რომ იგი თამარ ბაჩალიაშვილს იცნობდა და მისი გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციას ფლობს.

გ.თ.-ს ჩვენებით, აღნიშნული არ შეესაბამება რეალობას და მ.შ.-ს წარმოსახვისა და ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. აღნიშნული ასევე დაადასტურა მოწმის სახით გამოკითხულმა მ.შ.-ს ბიძამ ს.ჯ.-მ.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება. გამოძიების ფარგლებში ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, საქმეში ახალ ფიგურანტს მობილური ტელეფონი მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ექსპერტიზისთვის ჩამოართვეს.

როგორც ადვოკატი „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, გოგონა მას დაუკავშირდა და უთხრა, რომ თუკი ტელეფონს წაართმევდნენ, თავს მოიკლავდა.

– პროკურატურა გაფრთხილებული მყავდა, მე ვარ მისი ადვოკატი და ჩემი გაფრთხილების გარეშე არც ტელეფონი წაეღოთ და არც დაეკითხათ. ბავშვმა დამირეკა, ტიროდა, თავს მოვიკლავ, ტელეფონი არ წაიღონო. ბავშვს ტელეფონს ართმევენ, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები აქვს, ესენი გესტაპოები არიან, გესმით, რას აკეთებენ?! ექსპერტიზისთვის წაიღეს, რომ ახლა როგორღაც თავიანთი საქციელი „გაამართლონ“, სასწრაფო წესით აიღეს განჩინება, აღმოაჩინეს, რომ ეს გოგო ფსიქიკურად თურმე არაჯანსაღი ყოფილა, რაღაც მკურნალობას გადის და ახლა ორიენტირებულია მთელი გამოძიება, რომ ეს „სქრინები“, თურმე, შესაძლოა, გაყალბებული და ფალსიფიცირებული იყოს.

მეურვეობას რომ საჭიროებს და ამაზე ზრუნვა რომ დავიწყეთ, იმწუთასვე ყველაფერი დაბლოკეს, ამაზეც არ იზრუნეს, ბავშვი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, გამოძიებას არაფერი უზრუნია, როცა ბავშვი დაზარალებულად იყო ცნობილი, ამაზე მე ვზრუნავ და მე მიბლოკავს გამოძიება ყველაფერს, გამოძიებას ტელეფონი მიაქვს, რომ როგორმე ბავშვს სიყალბე დააბრალონ. ეს არის ჩვენი გამოძიება და ჩვენი პროკურატურა! – აცხადებს რამიშვილი.

ის გამოეხმაურა ასევე პროკურატურის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, უწყებამ თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით მტკიცებულების შესაძლო ფალსიფიკაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

– ბაჩალიაშვილის საქმე დახურეს, დახურულ საქმეზე როგორ უნდა ეძებო მტკიცებულებების გაყალბება, საქმე დახურულია და რას ეძებ, რას? გახსენით ბაჩალიაშვილის საქმე და მერე მოძებნეთ ყალბია თუ არა ეს „სქრინი“, – აცხადებს რამიშვილი.

მისივე განმარტებით, ტელეფონის ექსპერტიზაზე ოჯახი დამოუკიდებელ ექსპერტს ვერ ჩართავს, ვინაიდან, მათ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი გაუქმებული აქვთ.

## შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1103 ფაქტი გამოავლინა




შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1103 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 114 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს. გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 989 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს. პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

## რუსთავში 13 წლის გოგონა ცუდად გახდა და მე-3 სართულიდან გადავარდა

რუსთავში მოზარდი აივნიდან გადმოვარდა. „ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, XIX მიკრორაიონში 13 წლის გოგონა საკუთარ ბინაში, მესამე სართულზე აივანზე იმყოფებოდა, როდესაც ის შეუძლოდ გახდა და აივნიდან გადმოვარდა.

ადგილზე დროულად მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი. მოზარდი კლინიკა რუსთავში გადაიყვანეს, სადაც მას პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია.

პაციენტი თბილისში, იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „ინფო რუსთავს“ კლინიკა რუსთავში განუცხადეს, გოგონა სამედიცინო დაწესებულებაში შეყვანისას გონზე იყო. მას მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნებოდა.

## ტრამპმა ყოფილი მრჩეველი ბენონი და რამდენიმე ადამიანი შეიწყალა



დონალდ ტრამპმა აშშ-ის პრეზიდენტობის ბოლო საათებში ყოფილი მრჩეველი სტივ ბენონი შეიწყალა.

ბენონს ბრალი მექსიკის საზღვარზე კედლის ასაშენებლად თანხების მოზიდვის ონლაინკამპანიასთან, „ჩვენ ვაშენებთ კედელს“, დაკავშირებული თაღლითობის გამო აქვს წარდგენილი, თუმცა ის ბრალს არ აღიარებს.

აღსანიშნავია, რომ ბენონი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს დონალდ ტრამპს გამარჯვების მოპოვებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა.

შეწყალებულ პირებს შორის არიან რეპერები ლილ უეინი და კოდაკ ბლექი, რომლებმაც იარაღის შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით წარდგენილი ბრალი აღიარეს.

დონალდ ტრამპმა პრეზიდენტობის ბოლო საათებში, საერთო ჯამში, 73 ადამიანი შეიწყალა, სასჯელი კი 70-ს შეუმსუბუქა.

## ეგვიპტე და ყატარი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე შეთანხმდნენ



ეგვიპტე და ყატარი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე შეთანხმდნენ.

„ეგვიპტის არაბულმა რესპუბლიკამ და ყატარის სახელმწიფომ 20 იანვარს ოფიციალური ნოტები გაცვალეს, რომლის თანახმადაც, ორი ქვეყანა დიპლომატიური ურთიერთობების განახლებაზე შეთანხმდა“, – ნათქვამია სპეციალურ განცხადებაში.

ეგვიპტემ, საუდის არაბეთმა, ბაჰრეინმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა ყატართან დიპლომატიური ურთიერთობები 3 წლის წინ გაწყვიტეს.

აღნიშნულმა ქვეყნებმა ყატარი ტერორიზმის მხარდაჭერასა და რეგიონის დესტაბილიზაციაში დაადანაშაულეს.

ყატარმა ბრალდებებს გაუმართლებელი და უსაფუძვლო უწოდა.

## მადრიდის ცენტრში აფეთქება მოხდა
### 2 ადამიანი დაიღუპა, 10 დაშავდა



მადრიდის ცენტრალურ ნაწილში ერთ-ერთ შენობაში აფეთქება მოხდა.

აფეთქების მიზეზი, შესაძლოა, ბუნებრივი აირის გაჟონვა გამხდარიყო.

აფეთქებას მინიმუმ ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ათამდე კი დაშავდა. აფეთქებას შენობის ჩამონგრევა მოჰყვა.

თვითმხილველთა თქმით, აფეთქების შემდეგ კვამლიც შეინიშნებოდა.

შენობა რელიგიური კომპლექსი იყო, რომელშიც ღვთისმსახურები ცხოვრობდნენ და უსახლკაროებს საკვებს ურიგებდნენ.

შენობა კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდა.

შემთხვევა ტოლედოს ქუჩაზე მოხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## უკანონო სექსწვეულების დასაშლელად მისული პოლიციელები სტრიპტიზიორები ეგონათ

არგენტინაში პოლიციელები, რომლებიც უკანონო სექსწვეულების დასაშლელად მივიდნენ, სტრიპტიზიორებად მიიჩნიეს.

ინციდენტი ბუენოს-აირესის პროვინციის ქალაქ მარ-დელ-პლატას რაიონში მდებარე ფერმაში მოხდა. სამართალდამცავ ორგანოებში ანონიმი ინფორმატორისგან შეიტყვეს, რომ სექსწვეულება მზადდებოდა. როდესაც პოლიციის თანამშრომლები მითითებულ ადგილზე მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ფერმაში 20-ზე მეტი 35-დან 55 წლამდე ასაკის ადამიანი იყო შეკრებილი. ისმოდა მუსიკა, სტუმრები საუზმობდნენ, ხოლო ერთ-ერთი შენობის იატაკზე ლეიბები იყო დაგებული.




პოლიციელების გასაკვირად, წვეულების მონაწილეებმა ისინი თავად შეიპატიჟეს სახლში. ამის შემდეგ ერთ-ერთ ოფიცერთან ქალი მივიდა და ჩასჩურჩულა, რომ ის მას ალაგზნებდა.

– ჩვენს დანახვაზე მათ იფიქრეს, რომ სტრიპტიზიორები ვიყავით და ეს ყოველივე წარმოდგენის ნაწილს შეადგენდა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა პოლიციელმა.

საბოლოოდ წვეულება დაიშალა. მის ყველა მონაწილეს, ასევე ფერმის მფლობელს კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული შეზღუდვების დარღვევისთვის ჯარიმა ემუქრება. სამართალდამცავების თქმით, წვეულების მონაწილეებს მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ზრდილობიანად იქცეოდნენ და ხუმრობის ხასიათზეც იყვნენ.

## სკოლის შეყვარებულები 70 წლის შემდეგ დაქორწინდნენ

ახალგაზრდობაში სკოლაში შეყვარებულები და ერთმანეთს დაშორებულები კანადის პროვინცია ნიუფაუნდლენდ და ლაბრადორის ქალაქ უონდსვორტიდან, ერთმანეთს 70 წლის შემდეგ შეხვდნენ და სამ დღეში დაქორწინების გადაწყვეტილება მიიღეს.



ფრედ პოლმა და ფლორენს ჰარვიმ ერთმანეთი 1950-იან წლებში გაიცნეს, როდესაც ჯერ კიდევ მოზარდები იყვნენ. ისინი ერთად ატარებდნენ დროს, ეკლესიიდან გამოსულები სეირნობდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს, დადიოდნენ კონცერტებზე. ორი წლის განმავლობაში ყოველ საღამოს, სანამ ერთად იყვნენ, დაძინების წინ პოლი საკუთარი სახლის კარის წინ მდგარი ნათურის ქნევით ანიშნებდა ჰარვის, რომელიც ყურეს მეორე მხარეს ცხოვრობდა, რომ უყვარდა და მშვიდ ძილს უსურვებდა.

როდესაც პოლი 18 წლის, ხოლო ჰარვი 15 წლის იყვნენ, მათი გზები გაიყარა. პოლი ტორონტოში გაემგზავრა სამუშაოდ, ხოლო როდესაც ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ გოგონა სხვა ქალაქში იყო გადასული საცხოვრებლად. საბოლოოდ ორივემ საკუთარი ოჯახი შექმნა.

2017 წელს ჰარვის ქმარი კიბოს დაავადებისგან გარდაიცვალა. 2019 წელს კი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, პოლის მეუღლე გარდაიცვალა. მეუღლეების დაკარგვით გამოწვეულმა მწუხარებამ პოლი და ჰარვი ისევ დააკავშირა ერთმანეთს.

როდესაც ჰარვიმ პოლის მეუღლის გარდაცვალების შესახებ შეიტყო, მას დაურეკა და მიუსამძიმრა. მას შემდეგ 84 წლის პოლი და 81 წლის ჰარვი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და ელაპარაკებოდნენ. ივლისში ჰარვიმ პოლის სიურპრიზი გაუკეთა და ტორონტოში მის დაბადების დღეზე ჩავიდა. პირველი შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ კი წყვილი უკვე მზად იყო დაქორწინებისთვის, მათ 8 აგვისტოს ვიწრო წრეში იქორწინეს. ახლა უკვე წყვილი აპირებს ესტუმროს იმ ქალაქს, სადაც მათი სიყვარული ჩაისახა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკა ანთიძე გელათის სახურავის ჩამონგრევას სიცრუეს უწოდებს



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე სიცრუეს უწოდებს გელათის სახურავის ჩანგრევის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას:

– ვინაიდან უხვი ნალექი მოვიდა გელათში, ადგილზე ვარ. ჩემი ზედამხედველობით მიმდინარეობს დროებითი გადახურვის რევიზია, ხარვეზების იდენტიფიცირება და გამოსწორება. გელათზე სამუშაოების მწარმოებელი კომპანია შეიცვალა, ამავე კომპანიას დაეკისრა ჯარიმა. ახალი კომპანიის მიერ ჩასატარებელ ღონისძიებებს სრულად დააფინანსებს დაჯარიმებული კომპანია. ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს დროებითი სახურავი ჩამოინგრა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე შექმნილი ვითარების გამოსასწორებელ ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, სხვა კომპანია განახორციელებს.

პრევენციული ქმედებების ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო შემსრულებელ კომპანიებს „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა“ და „იკორთა 2007“-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები განესაზღვრათ, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლის გათვალისწინებით 12000-12000 ლარს მოიცავს.

სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის მიერ გასულ წელს გაცემული გაფრთხილების მიუხედავად, შემსრულებელმა კომპანიებმა ამ დრომდე ვერ უზრუნველყვეს სანებართვო პირობების გადაცდომით შესრულებული სამუშაოების შედეგების გამოსწორება, რაც მთელ რიგ კონსტრუქციულ ელემენტებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას ითვალისწინებდა.

ფიზიკური სამუშაოების პროცესში დაშვებული შეცდომების მიზეზით 18 იანვარს მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ ფერდზე ქარის შედეგად დროებითი გადახურვის ფრაგმენტი ასძვრა. დაზიანებული კონსტრუქციის აღდგენის სამუშაოები ეროვნული სააგენტოს ინიციატივით გუშინ საღამოდანვე დაიწყო და დღეს დასრულდება. აღდგენილი მყარი გადახურვის სათანადო წესით გამაგრების პარალელურად, სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის სპეციალისტების ზედამხედველობით გადამოწმდება დროებითი გადახურვების ყველა არეალი. პრევენციული ქმედებებისას შესრულებული სამუშაოების ხარვეზების აღმოფხვრას დღეიდან კომპანია „ბაგინეთი +“ განახორციელებს, სამუშაოების წარმართვას კი ფინანსურად სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები უზრუნველყოფენ. არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესი სააგენტოს ინსპექციის ჯგუფის მუდმივი მეთვალყურეობით წარიმართება.

## მიხეილ შუღლიაშვილი 80 წლის გახდებოდა

კომპოზიტორი და პედაგოგი მიხეილ შუღლიაშვილი 80 წლის გახდებოდა. მისი საიუბილეო თარიღი პანდემიის გამო ვერ აღინიშნა.

**დავით შუღლიაშვილი,** მიხეილ შუღლიაშვილის შვილი:

– მისი მუსიკისადმი ინტერესი საქართველოშიც და უცხოეთშიც დღითიდღე მატულობს. ის გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული ავანგარდული მუსიკის ერთ-ერთი მოთავეა. თავისი შემოქმედებით იგი ნახევარი საუკუნით წინ უსწრებდა თავის თანამედროვეობას. ყოველი ნაწარმოები ორიგინალური, თანამედროვე და მომავლისკენ მიმართული ესთეტიკის მქონე მხატვრული სახეებისა და სივრცეების შემქმნელია. დიდი მადლობა ყველა იმ ქართველ და უცხოელ მუსიკოსს, კონცერტებისა თუ ფეს-



ტივალების იმ ორგანიზატორს, ვისი დახმარებითაც შესაძლებელი გახდა მიხეილ შუღლიაშვილის მუსიკის მსმენელამდე მიტანა. იმედი მაქვს, რომ თანამედროვე მუსიკით დაინტერესებულ ქართველ მსმენელს შესაძლებლობა მიეცემა, მონაწილე გახდეს ამ უჩვეულო, საოცარი მუსიკალური შთაბეჭდილებებისა.

**ნიკოლოზ რაჭველი,** დირიჟორი:

– ასე ზუსტად ვერ ვიხსენებ, როგორ აღმოვჩნდი მიხეილ შუღლიაშვილის მოსწავლე, მაგრამ იმას, რომ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ცხოვრების გზაზე გადამხდა, მაშინაც ვხვდებოდი, 9-10 წლის რომ ვიყავი და მერეც, როდესაც ვენის უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელში მისაღები გამოცდების შემდგომ თითქმის ყოველი ავსტრიელი პროფესორი მეკითხებოდა, ვინ მომცა განათლება, ვინ იყო ჩემი მენტორი საქართველოში. დღეს, როდესაც ვუნდერკინდ ცოტნე ზედგინიძეზე ვფიქრობ, ყველაზე მეტად მენანება, რომ მიხეილ შუღლიაშვილს ის დროში ასცდა. ეს იყო ფენომენი, რომლის ფასი მისმა სამშობლომ ჯერ კიდევ არ იცის და მისი, როგორც უძლიერესი კომპოზიტორის უკვე გარდაცვალების შემდგომ საერთაშორისო აღიარების გამოძახილი ნელ-ნელა ბრუნდება ჩვენს სივრცეში და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დიდი ხელოვანის უკვდავებას!

მიხეილ შუღლიაშვილი ზუსტად 80 წლის დაიბადა და მხოლოდ 55 წელი იცოცხლა, თავი მიუძღვნა მუსიკას, მოსწავლეებს, მის პირველ და უნიკალურ მეუღლეს ინოლა გურგულიას, შემდგომ მეორე ასევე შესანიშნავ მეუღლეს მანანას და მის სამ შვილს, დათოს, იასა და დიტოს, სამივეს არაჩვეულებრივს!

მაშინ, როდესაც სრულიად მოულოდნელად მიგვატოვა, მე 16 წლის ვიყავი და, სხვათა შორის, ერთ-ერთი ორ-სამ ადამიანს შორის, ვინც ბოლოს, გარდაცვალებამდე წუთებით ადრე ნახა და ეურთიერთა. და იცით, რა იყო მისი გულის დაფლეთის მიზეზი? სიხარული! უსაზღვრო სიხარული, რომ 90-იანი წლების საქართველოში შეუძლებელი შეძლო და უახლესი ტენდენციების, მათ შორის კომპიუტერული და ელექტრონული მუსიკის შექმნისათვის საჭირო სტუდია-სახელოსნო დააარსა და იმ დროისათვის არსებული თანამედროვე ტექნიკური საჭიროებებით სრულად უზრუნველყოფა მოახერხა.

ჩვენ, მისი მოსწავლეები, რომლებსაც გვაყვარებდა ბახს, მოცარტს, ბეთჰოვენს, ბრამსს, სტრავინსკის, შონბერგს, ბერგს, მესიანს, ლიგეტის, შტოკჰაუზენს, ბულეზს, ქსენაკისსა თუ ბერიოს, მაშინ ვერ ვაცნობიერებდით, რომ ის თავად იყო მუსიკის შემქმნელთა ამ დიდი ოჯახის ღირსეული წევრი. მისი მუსიკა მაშინაც (ისევე, როგორც ახლა) უმწირესად სრულდებოდა საკონცერტო დარბაზებში, ერთი იმიტომ, რომ შესრულება მოითხოვს უაღრესად მაღალ პროფესიონალიზმს, უჩვეულო სირთულეების დაძლევის უნარებს და, მეორე მხრივ, ის დროს უსწრებდა და ახლაც, XXI საუკუნის 20-იან წლებში მაინც მომავლის ბგერები ისმინება მის საორკესტრო, კამერულ და საფორტეპიანო ნაწარმოებებში.

ბოლო დროს მართლაც საოცრად გაცოცხლდა მისი დანატოვარი შემოქმედება. სწორედ პანდემიამდე მიუძღვნეს ავსტრიელებმა მას ცნობილი მუსიკალური ფესტივალი და ვენის ორკესტრმა მისი რამდენიმე თხზულების ევროპული და მსოფლიო პრემიერა ჩაატარა, მისი საფორტეპიანო „ეკზერსისი“ თითქმის ყველა კონტინენტის პუბლიკამ არაერთხელ მოისმინა აღფრთოვანებით, ხოლო სამი როიალისთვის დაწერილი ორი დიდი ნაწარმოები ამ შემადგენლობისთვის შექმნილ მიუღწეველ შედევრებად იქნა აღიარებული მუსიკის მკვლევრების მიერ.

მიხეილ შუღლიაშვილს ჩვენც, ეროვნულმა ორკესტრმა ფესტივალი „კონტრაპუნქტი“ მივუძღვენით და მომავალშიც ვგეგმავთ უცხოელი დირიჟორების მოწვევას მისი მუსიკის მისსავე სამშობლოში ევროპული ელფერით შესასრულებლად. მაგრამ ახლა, დღეს, როდესაც მისი საიუბილეო დღეა, მინდა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა შევუთვალო ჩემს მასწავლებელს, უფროს მეგობარს, მონატრებულ მამობილსა და მუსიკის უდიდეს მეტრს ყველაფრისათვის, რაც მან საქართველოს გაუკეთა, რაც მან მის შვილობილებს ჩაგვინერგა და გვისახსოვრა.

მისი არსებობა და მასთან ყოფნა იყო ძალიან დიდი საჩუქარი ჩვენთვის, რისთვისაც მადლობა განგებას ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრე წაგვართვა და დაგვაობლა. მარადიული სიკეთე და მეტი შესრულება მის მუსიკას და ამით მუდმივი სიხარული მის შთამომავლებს, რომელთა შორის საკუთარ თავსაც მივიჩნევ და ამით ვარ უსაზღვროდ ბედნიერი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ქართული გეგმები და მიდი-მოდი

კრისტალბეთ ეროვნული ლიგის 2021 წლის სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდებმა საწვრთნელი პროცესი განაახლეს, შეკრებები და საკონტროლო მატჩები დაგეგმეს. სატრანსფერო აქტივობები ისევ გრძელდება, რადგან გუნდების შევსების პროცესი ჯერ დასრულებული არ არის.

**დინამო თბილისი**

ეროვნული ლიგის ჩემპიონმა ახალი მთავარი მწვრთნელის გიორგი ნემსაძის ხელმძღვანელობით დიღმის ბაზაზე საწვრთნელი პროცესი განაახლა.

გუნდს 3 ახალწვეული ჰყავს: ჰოლანდიელი მცველი ფაბიან სპორკსლეიდი; მარტვილის მერანის 23 წლის გარემარბი ლევან წოწონავა; სერბი ლეგიონერი ზორან მარუშიჩი.

დინამო დატოვა გასულ სეზონში გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ნოდარ ქავთარაძემ, რომელიც სათამაშოდ უნგრულ მეზოკოვეშდიში გადავიდა.

გიორგი ნემსაძის გუნდი თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა, სადაც 5 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. მისი მეტოქეები იქნებიან: სერბული რადნიკი (23 იანვარი) და ნაპრედაკი (26 იანვარი); უკრაინული კოლოსი (29 იანვარი) და დინამო (1 თებერვალი) და რუსული სოჭი (8 თებერვალი).

**დინამო ბათუმი**

კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და ბათუმის დინამოს ყოფილმა შემტევმა ვლადიმერ დვალიშვილმა კლუბის მენეჯმენტში გადაინაცვლა და ზღვისპირული კლუბის სპორტული დირექტორის პოსტს იკავებს.

გუნდი ასევე დატოვეს: გოდფრი ობოაბონამ, ლაშა შერგელაშვილმა, მათე ცინცაძემ, რეინალდომ, კიჭი მელიავამ, იჰორ ლევჩენკომ და ვაჟა ფაცაციამ. სამაგიეროდ, გია გეგუჩაძის გუნდმა დაიმატა გრიგოლ ჩაბრაძე, გიორგი ზარია, გიორგი ფანცულაია, სანდრო ალთუნაშვილი და რაფაელ ჩუკვურა, ვამერ სანოგო და ლუკას გროცურეკი.

ბათუმელები ახალი სეზონისთვის თბილისის ზღვის ბაზაზე ემზადებიან, ხოლო 3 თებერვალს ანტალიაში შეკრებაზე გაემგზავრებიან და მზადებას თურქეთში განაგრძობენ.

**დილა გორი**

გუნდიდან გიორგი ნემსაძის წასვლის შემდეგ გორელებს 2021 წლის სეზონში უკრაინელი სპეციალისტი ანდრეი დემჩენკო უხელმძღვანელებს. ამსტერდამის აიაქსისა და მოსკოვის ცსკას ყოფილი ფეხბურთელი სხვადასხვა დროს ხარკოვის მეტალისტს, ლვოვსა და ტაშკენტის ობოდს წვრთნიდა.

გუნდმა ახალი სეზონის წინ ცოტნე მოსიაშვილი, პაატა ღუდუშაური და ანრი ჭიჭინაძე დაიმატა. წამსვლელთაგან ყველაზე დიდი დანაკლისი გასული სეზონის ბომბარდირი მიკოლა კოვტალიუკი იქნება. დილა ასევე დატოვა გიორგი სილაგაძემ.

**ლოკომოტივი თბილისი**

ეფექტური ევროსეზონის შემდეგ ლოკო ახალ სეზონს ახალი შემადგენლობით ხვდება. გიორგი ჭიაბრიშვილმა გუნდის ძირითადი ბირთვის თითქმის ყველა მოთამაშის შენარჩუნება შეძლო და მოსამზადებელი პროცესი დაიწყო.



ლოკო გუნდის ვიცეკაპიტანმა ნიკა ჭანტურიამ დატოვა. საგურამოს ბაზას კლუბის ვეტერანი რევაზ თევდორაძე დაუბრუნდა, რომელმაც ბოლო 2 სეზონი თბილისის მერანში გაატარა. ასევე, წითელ ფორმას მოირგებენ კახა კახაბრიშვილი და სოსო კოპალიანი.

ლოკომოტივის თბილისური შეკრება, 31 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება და სავარჯიშო პროცესის პარალელურად ლოკო ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს. ერთი უკვე ჩაატარა და გარეჯს 8:0 მოუგო. ლოკო 24 იანვარს საბურთალოს ეთამაშება, ხოლო 31 იანვარს – ბათუმის დინამოს.

2 თებერვალს გუნდი თურქეთში გაემგზავრება, სადაც ორკვირიანი შეკრებაა დაგეგმილი. თურქულ შეკრებაზე ლოკომოტივი 5 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: 5 თებერვალი შახტარი (უკრაინა), 9 თებერვალი – დესნა (უკრაინა), 10 თებერვალი – როტორი (რუსეთი), 12 თებერვალი – უფა (რუსეთი), 16 თებერვალი – ჟოდინო (ბელარუსი).

**საბურთალო**

თბილისელებმა სატრანსფერო პერიოდისას 2 მოლდოველი ლეგიონერი – დმიტრი მანდრიჩენკო და ვიქტორ მურდაკი დაიმატეს; საბურთალოში 1-წლიანი იჯარით ითამაშებს ლოკომოტივისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველი თორნიკე ძებნიაური.

საბურთალოს ასევე შეუერთდნენ: რაფიქ ამინუ (განა), რომან ჩაჩუა, გიორგი ერისთავი, გიორგი ჯგერენაია, გიორგი ლაცაბიძე და ეროვნული ლიგა 2-ის ბომბარდირი თომა ტაბატაძე. გუნდში დაბრუნდა ოთარ გოშაძე, რომელიც განათხოვრების წესით თელავის ღირსებას იცავდა.

ლევან კორღალიძის გუნდი დატოვეს: დავით კუპატაძემ, ბექა ქავთარაძემ, ანრი ჭიჭინაძემ, ლევან მაჭარაშვილმა, ჟარდელ როდრიგესმა, ოლივიე ბუმალმა, სანდრო ალთუნაშვილმა და გუნდის კაპიტანმა გაგი მარგველაშვილმა, რომელიც კარიერას უნგრულ მეზოკოვეშდში განაგრძობს.

საბურთალომ უკვე ჩაატარა ამხანაგური მატჩი და ქვედალიგელი შევარდენი 3:0 დაამარცხა.

**თელავი**

თელავი 12 იანვარს შეიკრიბა და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გუნდი 7 ფეხბურთელს დაემშვიდობა.

კახური გუნდი დატოვეს: გრიგოლ ჩაბრაძემ, ცოტნე მოსიაშვილმა, რაფაელ ჩუკურამ, ალექსანდრე კოშკაძემ, გურამ სამუშიამ, ვლადისლავ კრაევმა, ჰოვანეს პოღოსიანმა და კაპიტანმა ანტონ თოლორდავამ.

ახალ სეზონში თელავის ღირსებას დაიცავენ: ზურაბ თევზაძე, ცოტნე კაპანაძე, ვაჟა ფაცაცია, გიორგი ხაბულიანი, ბექა გაბისკირია, შოთა შეყილაძე და იმედა აშორტია.

**სამტრედია**

სამტრედიელთა რიგები კლუბის აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ნიჯატ ყურბანოვმა დატოვა. ასევე, გუნდს დაემშვიდობნენ გიორგი ჯგერენაია, რომელიც საბურთალოში ითამაშებს და დიეგო დიზი – ესპანელი კარიერას ფინურ „ულუში' განაგრძობს.

**ტორპედო ქუთაისი**

დეკემბერში ქუთაისის ტორპედომ ფლეი აუტში გაგრას სძლია – ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა ორი მატჩის ჯამში მეტოქე 3:1 დაამარცხა და ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნება შეძლო.

ქუთაისური გუნდის რიგებს გიორგი ფანცულაია დააკლდება, რომელიც კარიერას ბათუმის დინამოში განაგრძობს. მან კლუბი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დატოვა.

**შუქურა**

ქობულეთის გუნდი ახალი სეზონისთვის შევსებას აქტიურად განაგრძობს. გუნდის რიგებს გამოცდილი მცველები ნიკა ჭანტურია და გიორგი რეხვიაშვილი შეუერთდნენ.

აჭარულ გუნდში ასევე ითამაშებენ ზურაბ მუსელიანი, ამირან როხვაძე და ბრაზილიელი ლეგიონერი ჟასინტო ჟუნიორი.

შუქურა რომან ჩაჩუამ დატოვა, რომელიც კარიერას საბურთალოში განაგრძობს.

**სამგურალი**

18-წლიანი პაუზის შემდეგ წყალტუბოს სამგურალი ეროვნულ ლიგას დაუბრუნდა. წყალტუბოელებმა იმერულ 2-მატჩიან დერბიში საჩხერის ჩიხურა დაამარცხეს და დაწინაურდნენ.

სამგურალი თვის ბოლომდე 26 მაისის სახელობის სტადიონზე მოემზადება და საკონტროლო მატჩებსაც გამართავს. 23 იანვარს წყალტუბოელები ამხანაგურ შეხვედრაში ქობულეთის შუქურას უმასპინძლებენ. 1 თებერვლიდან ახალი სეზონისთვის მზადებას ის ანტალიაში განაგრძობს.

წყალტუბოელთა რიგებში არაერთი ახალწვეულია: ირაკლი ლექვთაძე, გიორგი ბუხაიძე, მაქსიმე ქვილითაია, ლუქმან გილმორი და დავით კირკიტაძე.

სამგურალთან კონტრაქტები დაუმთავრდათ და გუნდი დატოვეს: ბექა ქურდაძემ, ლუკა რაზმაძემ, ლაშა კუჭუხიძემ, თენგიზ ბრეგვაძემ, დავით რაჟამაშვილმა, გივი იოსელიანმა, გიგა ამბროლაძემ და მერაბ მეგრელაძემ.

# გაგი მარგველაშვილი: „არარატ-არმენიასთან მარცხი ყველაზე დიდი ტკივილია“

ქართველმა ფეხბურთელებმა უნგრეთში „საბადოს“ მიაგნეს და მადიართა ქვეყანაში ჩვენებურების რაოდენობა იმატებს. ბუდუ ზივზივაძის, ლაშა დვალისა და გიორგი ბერიძის შემდეგ უნგრეთში სათამაშოდ გიორგი ქავთარაძე, ლუკა ლაკვეხელიანი და გაგი მარგველაშვილი გადავიდნენ. სამივე მათგანი მეზოკოვეშდში ითამაშებს.

**გაგი მარგველაშვილი:**

– მოხარული ვარ, რომ ძალიან კარგ გარემოსა და პირობებში მოვხვდი. რამდენიმე დღეა, უნგრეთში ვიმყოფები, გავიარე სამედიცინო შემოწმება და ნელნელა ვეჩვევი აქაურობას. ახალ კლუბთან 6 თვეს + 2 წელი ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი. შევხვდი კლუბის პრეზიდენტს, მთავარ მწვრთნელს. მინდა ვთქვა, რომ მწვრთნელი ზოგადად ქართულ ფეხბურთს კარგად იცნობს. მის ხელში რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს უთამაშია. ყველაფერი ახლა ჩემზეა დამოკიდებული.

***– ალბათ, უახლოეს პერიოდში უკვე თამაშიც მოგიწევთ.***

– ახლა შეკრებაზე ვართ. მალე ამხანაგური მატჩი გვაქვს, ალბათ, მომეცემა თამაშის შესაძლებლობა.

***– გუნდში თქვენი მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი ლუკა ლაკვეხელიანი, ასევე ყოფილი დინამოელი ნოდარ ქავთარაძეა. გარდა ამისა, უნგრეთში სხვა ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობენ. ხომ არ გინახავთ?***

– ჯერჯერობით არ შევხვედრივართ, თუმცა ლაშა დვალმა და ბუდუ ზივზივაძემ დამირეკეს, მომილოცეს ახალ გუნდში ჩარიცხვა და წარმატებები მისურვეს.

***– გაგი, როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები ფეხბურთში?***

– ფეხბურთის თამაში ქუთაისში როლანდ ცუცქირიძისა და თემურ გოჩოლეიშვილის ხელმძღვანელობით დავიწყე. ამ ადამიანებმა ფეხბურთი შემაყვარეს. მათი წვლილი დიდია იმაში, რომ დღეს მე ფეხბურთს ვთამაშობ. 15 წლის ვიყავი, როდესაც ქართლოს და კახა ჭუმბურიძეების დახმარებით საბურთალოს აკადემიაში ჩავირიცხე. თბილისურ გუნდში პირველი მწვრთნელი გიორგი მიქაძე იყო. მას შემდეგ „საბურთალოს“ ერთგული ვიყავი.

***– საბურთალოს აკადემიაში ჩარიცხვიდან თქვენი წარმატების ხანა იწყება. პატარა ასაკში მიღწეულ გამარჯვებებს განსხვავებული ფასი აქვს. ახლანდელი გადასახედიდან როგორ იხსენებთ იმ გამარჯვებებს?***

– საბურთალოს ბევრი კარგი ფეხბურთელი აღუზრდია. მიხარია, რომ მათ რიცხვში მეც ვარ. გავხდი მრავალი შეჯიბრების გამარჯვებული. განსაკუთრებით მახსენდება საერთაშორისო ტურნირი „სალერის თასი“, სადაც ბევრი ევროპული გუნდი თამაშობდა. იმ წლებში იშვიათობა იყო ისეთი გუნდების სტუმრობა, როგორებიც არის: მალაგა, ატლეტიკო, ვიტესი, მაკაბი, დნიპრო და სხვები.

***– გაგი, ევროტურნირებზე დებიუტს როგორ გაიხსენებთ მაშინ, როდესაც პირველ შეხვედრაში ყველა ხმამაღლა შერიფის აშკარა ფავორიტობაზე საუბრობდა?***

– შერიფი ჩვენთან შედარებით ბევრად გამოცდილი კლუბი იყო, ამავდროულად – მაღალბიუჯეტიანიც, მაგრამ გავედით მინდორზე და მეტოქეს პირველ შეხვედრაში შანსი არ დავუტოვეთ, ერთმანეთზე ლამაზი გოლები გავიტანეთ და სანახაობრივი ფეხბურთი ვაჩვენეთ. მაშინ ისეთ ემოციებში ვიყავი, ძნელია ამის გადმოცემა. მართალია, განმეორებით შეხვედრაში ბევრი ვინერვიულეთ და ვანერვიულეთ ქომაგიც, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ჩვენთვის კარგად დასრულდა. ზაგრებთან თამაშით თავი არ შეგვირცხვენია, თუმცა კლასმა და გამოცდილებამ ამ შემთხვევაში თავისი ქნა. რაზეც ძალიან გული მწყდება და მარცხს ჩემს თავს ვერ ვპატიობ, ეს არარატ-არმენიასთან წაგება იყო. თბილისში ჩატარებული თამაში ყოველთვის მტკივნეულად მემახსოვრება.

***– რას ეტყვის გაგი მარგველაშვილი ნორჩ და მოზარდ ფეხბურთელებს?***

– დღეში რამდენიმე საათი უნდა ივარჯიშონ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ რეჟიმს, ფეხბურთისთვის ყველაფერი უნდა გადადონ. ჩემი მაგალითიდან რომ ავიღოთ – ბავშვობაში მეც სხვებისგან არაფრით ვიყავი გამორჩეული, მაგრამ გამიმართლა, რომ ასეთ გარემოში მოვხვდი. საკუთარ თავზე სისტემატურად ვმუშაობდი და მომავალშიც უნდა გავაგრძელო შრომა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საქართველოს თასი ახალი ფორმატით გაიმართება

2021 წლის საქართველოს თასის გათამაშება 27 იანვარს დაიწყება და 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას – 11 სუპერლიგის და 5 ა ლიგის წარმომადგენელი.

ოლიმპიურ სასახლეში გამართული კენჭისყრა შემდეგი პრინციპით ჩატარდა:

მონაწილე გუნდები 4 კალათაში გაინთესა. პირველ კალათაში, სუპერლიგის მიმდინარე ცხრილის მიხედვით, 5 საუკეთესო გუნდი მოხვდა, რომლებიც კენჭისყრის შედეგად მერვედფინალში მე-4 კალათის წარმომადგენლებს – ა ლიგის წევრებს დაუწყვილდნენ. მეორე და მესამე კალათებში სუპერლიგის ცხრილში, შესაბამისად, მე-6-8 და მე-9-11 ადგილებზე მყოფი გუნდები განთავსდნენ.

კენჭისყრის მიხედვით გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ და მეოთხედფინალში ითამაშებენ ამ წყვილებში გამარჯვებულები:

**1.ტიტები-მგზავრები, ცხუმ აფხაზეთი-ბურჯი;**

**2.დინამო-ბათუმი, ქუთაისი-კავკასია;**

**3.რუსთავი-მეგა, კაკტუსი-ორბი;**

**4.ოლიმპი-ვერა, თსუ-ზესტაფონი.**

მერვედფინალსა და მეოთხედფინალში სერიები 2-მატჩიანი იქნება. 2 შეხვედრის ჯამში რომელი გუნდიც გაიმარჯვებს, მომდევნო ეტაპზე გავა. პირველად ქართული კალათბურთის ისტორიაში წამყვან ტურნირზე გათამაშდება ოთხთა ფინალი. საქართველოს თასი მსგავსი რეგლამენტით წინა სეზონშიც უნდა გამართულიყო, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო როგორც თასის გათამაშება, ისე მთლიანად სეზონი შეწყდა.

სიახლე მიმდინარე სეზონში განხორციელდება და თასის გათამაშების 4 საუკეთესო გუნდი ოთხთა ფინალის ფორმატით ერთმანეთში საუკეთესოს გამოავლენს. შესაბამისად, ნახევარფინალები და ფინალი თითომატჩიანი იქნება. საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩები 27 იანვრიდან 1 თებერვლამდე გაიმართება.

# სამგლოვიარო განცხადებები

გურამ კვიკვინია, უტა ზაქარაია, ლადო თათარიშვილი, გულად აბრამია, ვახტანგ კოდუა, ნუგზარ შონია და დემურ ბუკია იუწყებიან ახლო მეგობრის

**კარლო შონიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 2. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 3. ძაფზე ასხმული სამკაული; 4. გუთნის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული მოსასვენებელი ნაგებობა პარკებში; 10. ხრტილების ანთება; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 12. დამუშავებული გეგმა; 15. იტალიური საკონდიტრო; 16. ეგვიპტის ფარაონი; 17. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონის“ დამფუძნებელი; 20. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა.

**თარაზულად:** 6. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 7. ჭაობში მზარდი მწერიჭამია მცენარე; 8. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; 9. ზღვის ყაჩაღი; 13. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 14. ამერიკული ჯიპი; 18. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 19. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 21. მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. მძიმე ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი ავტომობილი.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯოკერი; 2. წოტი; 3. ანთოლოგია; 4. ლოლუა; 5. ვერსაჩე; 8. გაზეთი; 9. კალანდაძე; 12. ხუცესი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

**თარაზულად:** 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. კეტგუტი; 9. კესონი; 10. ლადა; 11. ვექსილი; 13. კანოე; 15. კუბიცა; 17. ჰარლემი; 18. ჟენევა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დინდგელი; 2. ამბიცია; 3. კლოპი; 4. ბეითალი; 5. ჭორვილა; 10. გენეტიკა; 11. დენონსაცია; 12. ალუმინი; 15. სეიდებადი; 16. ტაიმსი; 17. გლისადა; 20. სარკე.

**თარაზულად:** 6. ქინძმარაული; 7. ყეენობა; 8. ჭრიჭინა; 9. ვერსია; 13. შალე; 14. ნეპალი; 18. სერვილადი; 19. ბლუზი; 21. მახტა; 22. ფიქცია; 23. ბანკომატი; 24. სტინგერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.2994
ევრო — 3.9801
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4674
100 რუსული რუბლი — 4.4446

**ამინდის პროგნოზი 21 იანვრისათვის**





## 21 იანვრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება

## მაია ბურჭულაძის სერიალის „დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“



## 7-ტომეული

21 იანვრიდან ........................ ტომი 1
25 იანვრიდან........................ ტომი 2
28 იანვრიდან........................ ტომი 3
1 თებერვლიდან ................ ტომი 4
4 თებერვლიდან................ ტომი 5
8 თებერვლიდან................ ტომი 6
11 თებერვლიდან.............. ტომი 7

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**


## ნინო მაჩაიძე გოგონას დედა გახდა



ოპერის მომღერალი ნინო მაჩაიძე და მისი იტალიელი მეუღლე გუიდო ლოკონსოლო გოგონას მშობლები გახდნენ.

პატარა იტალიაში დაიბადა და მას ელენა დაარქვეს. წყვილს უფროსი ბიჭი ალესანდრო ჰყავს.

— მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ორი შვილი მყოლოდა — ბიჭი და გოგონა და ეს სანუკვარი ოცნება ამიხდა, — განაცხადა ნინო მაჩაიძემ.

## ნინი ქარსელაძე გათხოვდა



მომღერალი ნინი ქარსელაძე გათხოვდა. მისი რჩეული მილიონერი თაზო ჯახუტაშვილია. ნინის დედამ ხათუნა ჟორდანიამ ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა:

— რადგან ბევრმა სააგენტომ გაავრცელა, დავწერ მეც! ჩემი შვილი გათხოვდა უკვე დიდი ხანია.

რამდენი ხანიც შევძელით, დავმალეთ. ახლა კი საქვეყნოდ ვამბობ, მადლობა უფალს ყველაფრისთვის! ჩემი ჯანმრთელობისთვის, მშვიდობისთვის და განსაკუთრებით იმ ბედნიერებისთვის, რომელიც ჩემს შვილს და ჩემს ოჯახს გამოუგზავნა და ამ დიდ ბედნიერებას თაზო ჯახუტაშვილი ჰქვია.

## იუმორი

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:

— რატომ გდია ჩემს წვნიანში მოსასმენი აპარატი?

— რა მკითხეთ?

●●●

საჭესთან მჯდომი ქალი გვერდით მჯდომ მამაკაცს ეუბნება:

— როგორ ვატარო ეს შენი მანქანა, როდესაც სატერფული აკლია?

— რას ჰქვია, აკლია?

— რას და ავტოსკოლაში სამი სატერფული ჰქონდა, ამას კი ორი აქვს.

— ჩემი ავტომატია!

— ნუ მემუქრები!...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— მთელ ჩემს დანაზოგს მოგზაურობას ვახმარ.

— რა, მგზავრობის საფასური გაძვირდა?

— ჰო.

●●●

მამაკაცი მეზობელ ქალს ეკითხება:

— მეზობელო, ხომ არ ავიცრათ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ შენთან თუ ჩემთან?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— როგორ არჩევენ ფსიქიატრიულში ავადმყოფებს ექიმებისგან?

— უბრალოდ, რომელიც თეთრი ხალათის ჩაცმას მოასწრებს, ექიმიც ის იქნება...

●●●

მამაკაცი ტელეფონზე რეკავს:

— ალო, პოლიციაა?

— დიახ, რა მოხდა?

— ორი ქალი ჩემი გულისთვის ერთმანეთს ეჩხუბება.

— კი მაგრამ, პრობლემა რაშია?

— შეუხედავი იმარჯვებს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რონალდუ, შესაძლოა, რეალში დაბრუნდეს



ესპანურ პრესაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ კრიშტიანო რონალდუ, შესაძლოა, რეალში დაბრუნდეს.

ინფორმაციის მიხედვით, რონალდუსა და რეალის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს შორის საუბარი შედგა. ახლა მათ გაცილებით უკეთესი ურთიერთობა აქვთ, ვიდრე 2018 წელს. მაშინ რონალდუს წასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ პერესთან კონფლიქტი იყო. ამიტომ, შესაძლოა, კრიშტიანო რეალში დაბრუნებაზეც ფიქრობდეს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მას იუვენტუსთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია.

## სოლსკიაერი: „ტრანსფერებს აუცილებლად გავაკეთებთ“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ტრანსფერებს აუცილებლად განახორციელებს, თუმცა ჯერჯერობით მათ კონკრეტული ფეხბურთელები არ შეურჩევიათ:

— მიუხედავად იმისა, რომ პირველ ადგილზე ვართ და გუნდი წლევანდელ სეზონში კარგად გამოიყურება, მაინც ყოველთვის ვფიქრობთ გაძლიერებასა და ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე. ჯერჯერობით რამდენიმე ფეხბურთელს ვაკვირდებით.

## აგუერო სიტიდან არ მიდის



მანჩესტერ სიტის არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო გუნდის დატოვებას არ აპირებს, რადგან ფიქრობს, რომ სიტიში კვლავინდებურად შეუძლია ძირითად შემადგენლობაში თამაში და ამისთვის იბრძოლებს.

აგუეროს შეძენა მილანის ინტერს სურდა, მაგრამ სიტიმ მილანელები უარით გაისტუმრა. სერხიოს სიტისთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლაპორტას არჩევნები მესისთვის სურს



ბარსელონის საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტმა კანდიდატმა ჟოან ლაპორტამ ადგილობრივ მედიასთან ისაუბრა.

**ჟოან ლაპორტა:**

— ბარსელონას პრეზიდენტი სასწრაფოდ ესაჭიროება. კარლეს ტუსკეტსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ არჩევნების გადადების საკითხი ბოლომდე ვერ გავიგე. საარჩევნო პროცესის სუფთად ჩატარების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია. ერიკ გარსიას ტრანსფერზე აზრს არ შევიცვლი. კლუბს ამჟამად როგორც ესპანელის შეძენის, ასევე მისი ხელფასის გადასახდელად საკმარისი ფული არ აქვს. ის მომდევნო ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება.

რაც მთავარია, არჩევნების გადადება მესისთან კონტრაქტის გახანგრძლივების შანსებს ამცირებს. მინდა, რომ არჩევნები რაც შეიძლება მალე ჩატარდეს, რათა პრობლემების მოგვარებას შევუდგე. მესის საკითხი ნამდვილად რთულად არის. გავრცელებული ცნობებით, პარი სენ-ჟერმენი არგენტინელს რამდენიმეჯერ დაუკავშირდა. ფრანგული კლუბი ნეიმარი-მბაპე-მესის ერთდროულად ყოფნის იდეას განიხილავს. საქმის გარშემო ჭორებს ისიც ამწვავებს, რომ პსჟ-ს სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ განაცხადა, რომ მესის გადაბირების ვარიანტზე ყველა მნიშვნელოვან პირთან დიალოგისთვის მზად არიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური გარდაიცვალა



ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაცია ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაავრცელა:

— 66 წლის ასაკში გარდაიცვალა ისტორიკოსი, თსუ-ის პროფესორი გიორგი ოთხმეზური.

ბატონ გიორგის მრავალი წელი აკავშირებდა უნივერსიტეტთან, ისტორიის მიმართულების სტუდენტების უამრავმა თაობამ გაიარა მის თვალწინ, აღზარდა არაერთი შესანიშნავი ისტორიკოსი. ძალზე დიდია მისი დამსახურება საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ქართული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის შესწავლისა და განვითარების მიმართულებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს, სტუდენტებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მეგან მარკლის დამ ჰერცოგინიას მაკომპრომეტირებელი წიგნი დაწერა



მეგან მარკლის სკანდალურად ცნობილმა დამ სამანტა გრანტმა დაწერა მაკომპრომეტირებელი წიგნი სათაურით „თავხედი პრინცესას დღიური“, რომელიც სასექსის ჰერცოგინიას მიეძღვნა. ანონიმურმა წყარომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ წიგნის გამო საკუთარ აღშფოთებას, სავარაუდოდ, მეგან მარკლი სახალხოდ არ გამოამჟღავნებდა. ამასთან ცნობილია, რომ გრანტი წიგნში მკითხველებს გაუზიარებს ჰერცოგინიას „კარგ, ცუდ და ბინძურ“ საქმეებს.

— არ ვიცი, მოეწონება ეს მას თუ არა. რაღაცას სავარაუდოდ დაეთანხმება, რაღაცას არა, — განაცხადა გრანტმა, — ეს სიმართლეა და ამაში მდგომარეობს ბალანსი. აშკარაა, რომ ზოგიერთი ამბები მას არ მოეწონება, თუმცა მე ყოველთვის სიმართლის თქმას ვამჯობინებ. ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული 56 წლის გრანტი ამტკიცებს, რომ მისი მემუარები მიზნად არ ისახავს მეგან მარკლის რეპუტაციის შელახვას. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი დაწერის დროს ცდილობდა უკიდურესად გულახდილი ყოფილიყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 21 იანვრისათვის

**ვერძი** — დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **კურო** — თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სასწრაფოდ დაივიწყეთ. **ტყუპები** — ელოდეთ მსხვილ შენაძენს. კარგი პერიოდია ოჯახურ ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. შეგიძლიათ, რემონტიც წამოიწყოთ. **კირჩხიბი** — ისწავლეთ ემოციების გაკონტროლება. დაფიქრდით, ყველაფერში მართალი ხართ? **ლომი** — ზღვარგადასული პატივმოყვარეობა სიკეთეს არ დაგაყრით. საჭიროების შემთხვევაში რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** — მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **სასწორი** — დიდია უსიამოვნო სიურპრიზების ალბათობა. თქვენი გეგმები არავის გაანდოთ. **ღრიანკალი** — დროა, სიტუაცია შეიცვალოთ. გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, დაიტვირთეთ ფიზიკურად. **მშვილდოსანი** — შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **თხის რქა** — რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. **მერწყული** — დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **თევზები** — საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების მარტივი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ეკლესია ქუთაისში; 8. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 9. ფიფას პრეზიდენტი; 12. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 14. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის დიდი ფრინველი; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 7. ცნობების გავრცელება რაიმეს შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 9. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. ფრანგული ბულდოგი; 13. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 15. უკრაინელი საესტრადო მომღერალი ქალი; 17. ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 20. ჩინური ლოგიკური მაგიდის სათამაშო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*